კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლება და გარემოსდაცვითი განათლება

ბავშვზე ორიენტირებული სკოლების
სახელმძღვანელოს
დამატება

ბავშვზე ორიენტირებული სკოლები

გავერთიანდეთ
ბავშვებისთვის

unicef

სარჩევი

მადლიერების გამოხატვა

წინასიტყვაობა

1. მიზანი, მოქმედების სფერო და კონცეფცია
2. თეორიის პრაქტიკაში დანერგვის დინამიკა
3. ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკა და მასწავლებელთა განათლება
4. სკოლა, როგორც დამცავი გარემო
5. კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლება და გარემოსდაცვითი განათლება სკოლის ტერიტორიაზე
6. სკოლა და საზოგადოება
7. მასშტაბის ზრდა და მეინსტრიმინგი
8. მონიტორინგი, შეფასება და პროგრამის წარმატების მაჩვენებლები

შენიშვნები

მადლიერების გამოხატვა

წინამდებარე მოდულის ავტორია სიმენ ილტუსი.

სუჩიტრა სუგარი, სტეფანი ჰოჯი, მორგან სტრეკერი და ჩანგუ მანატჰოკო, რომლებიც წარმოადგენენ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) განათლების განყოფილებას ნიუ-იორკში, და ირენ დალკემანი აქტიურად მონაწილეობდნენ წინამდებარე სახელმძღვანელოს შექმნაში და რედაქტირებაში, სახელმძღვანელოზე მუშაობის სრული პერიოდის განმავლობაში, დიდია მათი წვლილი წინამდებარე სახელმძღვანელოს მაღალი ხარისხისა და სრულყოფის უზრუნველყოფაში.

სახელმძღვანელოს რედაქტირებას, გამოცემასა და გავრცელებას უზრუნველყოფს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) კომუნიკაციის განყოფილება. გრაფიკული დიზაინი ეკუთვნის ჯგუფს „CREATRIX Design Group“.

წინასიტყვაობა

გასული ათწლეულის განმავლობაში, ბავშვზე ორიენტირებული სკოლების მიდგომა იქცა გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ხელწერად და ყველა გოგონასა და ვაჟისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის ადვოკატირებისა და ხელშეწყობის საშუალებად. ბავშვზე ორიენტირებული სკოლები ყველა ბავშვს საკუთარი პოტენციალის სრულად გამოვლენის საშუალებას აძლევს. ბავშვზე ორიენტირებულ სკოლებთან დაკავშირებული შესაძლებლობების განვითარების გლობალური პროგრამის ფარგლებში, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ შეიქმნა ბავშვზე ორიენტირებული სკოლების სახელმძღვანელო, რომელიც საცნობარო დოკუმენტისა და პრაქტიკული სახელმძღვანელოს ფუნქციას ასრულებს ქვეყნებისათვის, რომლებსაც სურთ ბავშვზე ორიენტირებული სკოლების საკუთარ კონკრეტულ კონტექსტზე მორგებული მოდელების დანერგვა.

წინამდებარე მოდულის მიზანს წარმოადგენს სიღრმისეული ინფორმაციის მიწოდება იმის თაობაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების ჩართვა ბავშვზე ორიენტირებული სკოლების დაგეგმვის, დანერგვისა და პრაქტიკის ფორმატში.[i] ბევრი სკოლა აწარმოებს კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების ჩართვას თავიანთ სასწავლო პროგრამაში. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია აღნიშნული ძალისხმევის სრული ანგარიშის მოწოდება, წინამდებარე მოდული მოიცავს ამ მიმართულებით გაღებული ძალისხმევის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებს და გვიჩვენებს თუ რამდენად მრავალფეროვანი მიდგომების გამოყენებაა შესაძლებელი იმ მიზნის მისაღწევად, რომელიც ემსახურება სასწავლო პროგრამაში კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების ჩართვას.

წინამდებარე მოდული წარმოადგენს ბავშვზე ორიენტირებული სკოლების სახელმძღვანელოს დანამატს. მოდული, ისეთ პოლიტიკურ რესურსთან ერთად, როგორიცაა 'განათლების სექტორში კლიმატის ცვლილებებთან ადაპტირებისა და კატასტროფების რისკის შემცირების ჩართვა და მეინსტრიმინგი: ბავშვის უფლებებისა და სამართლიანობის ხელშეწყობა', დაეხმარება ქვეყნებს ბავშვზე ორიენტირებული სკოლების მიდგომის შემუშავებაში, ადგილობრივ კონტექსტზე მორგებაში, დაგეგმვასა და დანერგვაში.[ii] იგი განკუთვნილია ზოგადი სახელმძღვანელოს ფორმით გამოსაყენებლად, რომლის ადაპტირება და მორგება შესაძლებელია კონკრეტულ კონტექსტსა და გარემოზე.

1

მიზანი, მოქმედების სფერო და კონცეფცია

როგორ ზემოქმედებს კლიმატის ცვლილება ბავშვებზე

ნებისმიერ მოცემულ დღეს, მილიარდზე მეტი ბავშვი იღებს განათლებას დაწყებით ან საშუალო სკოლაში.[iii] თუმცა, ბევრი მათგანი ვერ ახერხებს სრული განათლების მიღებას, რაც განპირობებულია სკოლებში სწავლების დაბალი ხარისხით და მოუგვარებელი პრობლემებით, რომლებიც უკავშირდება სიღარიბეს, გენდერულ უთანასწორობას, ტერიტორიული ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, კრიზისულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, აივ-სა და შიდსს, შეზღუდულ შესაძლებლობებს, ეკოლოგიური სისტემების მუდმივ დეგრადაციასა და კლიმატთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ საფრთხეებს.

ბოლოდროინდელი სამეცნიერო დასკვნების თანახმად, კლიმატის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენს პლანეტაზე. 2007 წელს, კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისმა საბჭომ (IPCC) გამოაქვეყნა რიგით მეოთხე შეფასების ანგარიში, რომელიც ამ დროისთვის კლიმატის ცვლილების შედეგების ყველაზე დამაჯერებელ მეცნიერულ შეფასებად მიიჩნევა. აღნიშნული ანგარიშის დასკვნაში ნათქვამია, რომ მხოლოდ დაუყოვნებლივ და უწყვეტ მოქმედებასა და ძალისხმევას შეუძლია აღკვეთოს ის შეუქცევადი და პოტენციურად კატასტროფული ზიანი, რომელსაც ჩვენს გარემოს კლიმატის ცვლილება უქადის.[iv]

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისმა საბჭომ (IPCC) აღნიშნა, რომ კლიმატის ცვლილება თავს იჩენს სხვადასხვა გზით, მათ შორისაა:

ა. ტემპერატურის ზრდა, გვალვები და გაუდაბნოება;
ბ. ძლიერი ნალექები, წყალდიდობები და ზღვის დონის ზრდა;
გ. ბუნებრივი კატასტროფები, როგორიცაა, ციკლონები, წყალდიდობები გვალვები.

ამგვარ პირობებს შეიძლება შედეგედ წყლის რესურსების შემცირება მოჰყვეს, რაც თავისთავად ხელს უწყობს საკვები მარაგების შემცირებას და წყლით გადამდები დაავადებების, როგორიცაა დიარეა, და ვექტორებით გამოწვეული დაავადებების, როგორიცაა მალარია, გავრცელებას. წყალდიდობებმა და ზღვის დონის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს დახრჩობის, ტრავმების და მძიმე ფსიქიკური და ფიზიკური ტრავმების შემთხვევების ზრდა, განსაკუთრებით მცირე კუნძულებზე მდებარე განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობაში და დიდი მდინარეების დელტებთან და სანაპირო ზონებთან მდებარე დასახლებულ პუნქტებში.

მტკიცებულებების თანახმად, განვითარებად ქვეყნებზე, რომლებიც ისედაც ცდილობენ გაუმკლავდნენ სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებს, ყველაზე მწვავედ აისახება ამინდის გაუარესებისა და გახშირებული გვალვებისა და წყალდიდობების შედეგები. ამგვარ ტერიტორიებს განეკუთვნება არქტიკის რეგიონი, აზია (ძირითადი დელტები, ბანგლადეში, ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი) და წყნარი ოკეანის რეგიონი, კარიბის ზღვის კუნძულები, შუა აზია, მექსიკის ყურე, ლათინური ამერიკა (განსაკუთრებით ანდების რეგიონი და ამაზონია), ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა, საჰელის ზონა და სამხრეთ აფრიკა.[v]

მთელი რიგი სტატისტიკური გამოთვლებით წარმოებს კლიმატის ცვლილების გავლენის მასშტაბების განსაზღვრა: შემდეგ ათწლეულში აღნიშნული ცვლილების შედეგად დაზარალდება

175 მილიონი ბავშვი;[vi] ამ მიმართულებით ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს განეკუთვნებიან: ხანდაზმულები, უსახლკაროები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, გოგონები და ქალები;[vii] (10–19 წლის ასაკობრივი ჯგუფის) მოზარდთა 88 პროცენტი განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს; ბავშვები და ქალები შეადგენენ იმ მოსახლეობის 65 პროცენტს, რომლებიც დაზარალდებიან კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების შედეგად, ყოველწლიურად, მომავალი ათწლეულის განმავლობაში.[viii] კვლევებით არ არის სრულად დადგენილი კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების ზეგავლენა ბავშვებზე, თუმცა არსებული მტკიცებულებები იმაზე მეტყველებს, რომ ფიზიკური, კოგნიტიური და ფიზიოლოგიური მოუმწიფებლობის გამო, ისინი მეტად დაუცველი და მგრძნობიარე არიან გარემოს დეგრადაციის მავნე ზემოქმედების მიმართ. მათზე უფრო ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ჰაერის დაბინძურება, დაბინძურებული წყალი და უკიდურესი სიცხე.[ix] გოგონები განეკუთვნებიან ყველაზე მოწყვლად ჯგუფს, გენდერული უთანასწორობის გამო, რომელიც, მაგალითად, ზღუდავს მათ წვდომას განათლებასა და სრულფასოვან კვებაზე.

კლიმატის ცვლილება საფრთხეს უქმნის მდგრადი განვითარების დღისწესრიგის შესრულებას, რომლის მიზნებშიც შედის სიღარიბისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება, საყოველთაო დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა ყველა ბავშვისთვის და გენდერული თანასწორობის დამყარება. იგი აფერხებს ათასწლეულის განვითარების მიზნების, განსაკუთრებით ბავშვების კეთილდღეობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევის ძალისხმევას.

გარემოსდაცვითი განათლებისა და მდგრადი განვითარების არსებული ჩარჩოები

რამდენიმე არსებული ჩარჩო გვთავაზობს გარემოსდაცვითი განათლებისა და მდგრადი განვითარების პარამეტრებს. ბავშვის უფლებათა კონვენცია ბავშვთა განვითარების აუცილებელ პირობად უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნას ასახელებს.[x] ყველა ბავშვი უნდა სარგებლობდეს ცხოვრების ისეთი პირობებით, რომლებიც ხელს უწყობს მის ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას. განათლება უნდა ემსახურებოდეს ბავშვების აღჭურვას იმ უნარებით, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს მონაწილეობა მიიღონ თავისუფალ საზოგადოებაში და მოახდინონ საკუთარი შესაძლებლობების სრული რეალიზება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბავშვებს, კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების თვალსაზრისით, მრავალფეროვანი მოცემულობა და უნარები გააჩნიათ.

გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის კონვენცია განათლების სფროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ (1960 წ.) აღიარებს განათლების მნიშვნელოვან როლს ყველა ბავშვისთვის თანასწორი შესაძლებლობის უზრუნველყოფის საქმეში. კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (1979 წ.) აღიარებს, რომ აუცილებელია ქალების უფლებებით აღჭურვა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა. პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა (1995 წ.) ემსახურება გოგონათა მდგომარეობის გაუმჯობესებას. ათასწლეულის დეკლარაცია (2000 წ.) ეხება კავშირს ბავშვებსა და მდგრად განვითარებას შორის; ხოლო მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ გაეროს დეკლარაციაში (2007 წ.) საუბარია გარემოს შენარჩუნებასა და დაცვაზე.

გასული ორი ათწლეულის განმავლობაში, კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლება და გარემოსდაცვითი განათლება, ასევე განათლება მდგრადი განვითარებისათვის, იქცა გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის ძირითად ინსტრუმენტად. რიო-დე-ჟანეიროს 1992 წლის დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ ადასტურებს ბავშვების

შეუცვლელ რულს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (მუხლი 6) და კიოტოს პროტოკოლი (მუხლი 10) ხელს უწყობს მთავრობებს უზრუნველყონ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკით დაინტერესებული ყველა მხარისა და ძირითადი ჯგუფების განათლება, გაძლიერება და ჩართვა. 2002 წელს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2005–2014 წლები მდგრადი განვითარებისათვის განათლების ათწლეულად გამოაცხადა, რითაც დაადასტურა განათლების შეუცვლელი როლი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეში. კლიმატის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ძალზე მნიშვნელოვანია კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკის გატარებისთვის საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

ამჟამად არ არსებობს ძლიერი გლობალური ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც ემსახურება კლიმატის ცვლილების მიმართ ბავშვების მოწყვლადობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. ადაპტაციის ეროვნული სამოქმედო პროგრამები და სხვა გეგმები, მაგალითად, იშვიათად ემსახურება ბავშვების სპეციფიკური საჭიროებების დაკმაყოფილებას და მათი იმ ცოდნითა და უნარებით აღჭურვას, რომელთა საშუალებითაც ბავშვებს შეუძლიათ საკუთარი წვლილი შეიტანონ კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივ კატასტროფათა რისკების შემცირებისა და ამ მიმართულებით საჭირო ადაპტაციის ძალისხმევაში.

მოიცავს რა ისეთ ძირითად ცნებებს, როგორიცაა ადამიანის უფლებები, ბავშვის უფლებები, სიღარიბის შემცირება, მდგრადი საარსებო წყაროები, ბუნებრივ კატასტროფათა რისკების შემცირება, კლიმატის ცვლილება, გენდერული თანასწორობა, ერთობლივი სოციალური პასუხისმგებლობა და მკვიდრი მოსახლეობის დაცვა, მდგრადი განვითარებისათვის განათლება ეხმარება ბავშვებს გამოიმუშაონ კრიტიკული აზროვნების უნარი და გამოიყენონ აღნიშნული უნარი მდგრად განვითარებასა და მათივე საზოგადოებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში.

გამოწვევას წარმოადგენს მდგრადი განვითარებისათვის განათლების ჩართვა ხარისხიანი განათლების ყველა ასპექტში, შემდეგი სამი სფეროს გათვალისწინებით: გარემო, ეკონომიკა და საზოგადოება. მდგრადი განვითარების პრინციპების გასააზრებლად მოსწავლეები უნდა ფლობდნენ საბაზისო ცოდნას ისეთ საგნებში, რომლებიც უკავშირდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, სოციალურ მეცნიერებებსა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს. ბავშვზე ორიენტირებული სკოლების არსებული სასწავლო პროგრამების ორიენტირება მდგრადი განვითარებისათვის განათლებაზე წარმოადგენს ხარისხიანი განათლების მიმართულებით წინგადადგმულ კიდევ ერთ ინოვაციურ და მეტად მნიშვნელოვან ნაბიჯს.

კლიმატის ცვლილებისათვის მზადება ხარისხიანი განათლების საშუალებით

კლიმატის ცვლილების ზემოქმედების მაღალი რისკის მქონე და მარგინალიზებული ბავშვების საჭიროებებზე რეაგირების მიმართულებით, ხარისხიანი განათლება მიზნად ისახავს ყველა გოგონასა და ვაჟის შესაძლებლობებით უზრუნველყოფას, რათა ისინი უფრო გამძლე გახდნენ კლიმატის ცვლილების გავლენის მიმართ. ხარისხიანი განათლება არის იმ შესაძლებლობების, ცოდნისა და უნარების განვითარების ძირითადი კომპონენტი, რომლებიც საჭიროა ცხოვრებისა და საარსებო წყაროს ადაპტირებისთვის გარემოს ცვლილების შედეგად მიღებულ ეკოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ რეალობაში. ბავშვზე ორიენტირებული სკოლების მიდგომა ყველაზე ეფექტურია იმ შემთხვევაში, თუ ამ მიდგომის გამოყენება იწყება სკოლამდელი ასაკის

ბავშვებთან, გრძელდება მთელი სასკოლო პერიოდის განმავლობაში და მოიცავს, ზრდასრულ ასაკში, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას. ტრანსფორმაციული განათლების უზრუნველსაყოფად საჭიროა იგი ეფუძნებოდეს შემდეგს:

ა. აქტიური, ინკლუზიური და მონაწილეობითი სწავლისა და სწავლების პროცესები;

ბ. დახმარებისა და მხარდაჭერისთვის მზადმყოფი და კვალიფიციური მასწავლებლები;

გ. უსაფრთხო და ხელშემწყობი სასწავლო გარემო;

დ. მტკიცე კავშირი ადგილობრივ თემებთან და ადგილობრივ საკითხზე კონცენტრირება.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები კლიმატის ცვლილების ზეგავლენისგან ყველაზე დაუცველები არიან, დაუშვებელია მათი მიჩნევა პასიურ ან უმწეო მსხვერპლად. განათლების, პროექტებისა და ღონისძიებების საშუალებით, ბავშვებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავების, ზეგავლენის შერბილებისა და კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციის ყველა პროცესში. ბავშვები ცვლილებების ძლიერი შემოქმედები არიან. როდესაც ბავშვზე ორიენტირებული სკოლები უზრუნველყოფენ ბავშვების უფლებებით აღჭურვასა და მათ განათლებას კლიმატის ცვლილების შესახებ, ბავშვებს შეუძლიათ საკუთარი წვლილი შეიტანონ მათი და მათი საზოგადოების მოწყვლადობისა და კლიმატის ცვლილების ზეგავლენის რისკის შემცირების საქმეში და ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას. კვლევის თანახმად, გოგონებისა და ქალების განათლება კლიმატის ცვლილებასთან საზოგადოების ადაპტაციის განმტკიცების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. ბავშვებს საუკეთესოდ შეუძლიათ მნიშვნელოვან გამოწვევებთან ადაპტირება და მათი ცოდნა და შესაძლებლობები ფასდაუდებელია რეალისტური და პრაქტიკული ადაპტაციის გეგმების შემუშავებისთვის.

კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების მეინსტრიმინგისათვის საჭირო არსებული ინსტრუმენტები

კოალიცია 'ბავშვების ჩართულობა კლიმატის ცვლილების ძალისხმევაში' ['Children in a Changing Climate'], მიზნად ისახავს ბავშვებისა და ახალგაზრდების ცვლილების აგენტების სახით ჩართვას კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შერვილებისა და მასთან ადაპტირების ძალისხმევაში.[xi] განვითარების კვლევითი ინსტიტუტისა და მისი პარტნიორების მხარდაჭერით გახორციელებული პროექტი აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ბავშვების შეხედულებებმა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულმა მათმა გამოცდილებამ გააძლიეროს და უფრო მდგრადი გახადოს საზოგადოება.[xii]

ბავშვზე ორიენტირებული სკოლების სახელმძღვანელო, ნებისმიერი მოსაზრების არგუმენტირებისას, ჩარჩოს სახით იყენებს ბავშვის უფლებათა კონვენციას. ამავდროულად, სახელმძღვანელოში ნათლად არის განმარტებული, რომ ბავშვზე ორიენტირებული სკოლების ძირითადი პრინციპები "საჭიროა გადაიხედოს, კონკრეტული დროის პერიოდში ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით, რათა უზრუნველვყოთ კონკრეტულ ქვეყანაში ბავშვზე ორიენტირებული სკოლების შექმნისა და დანერგვის რეალური სტანდარტების დადგენა."[xiii]

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) ასევე მუშაობს განათლების სექტორში კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციასა და ბუნებრივ კატასტროფათა რისკის შემცირებასთან დაკავშირებული საკითხების ჩართვისა და მეინსტრიმინგის მიმართულებით. ბავშვზე ორიენტირებული სკოლების პრინციპებზე დაყრდნობით, აღნიშნული მიმართულებით გაღებული ძალისხმევა მოიცავს განათლების სისტემაში - პოლიტიკასა და კანონებში,

განათლების სექტორის გეგმებსა და ბიუჯეტში, სასწავლო პროგრამებსა და გამოცდებში, მასწავლებელთა განათლებაში, სკოლის ინფრასტრუქტურასა და საშუალებებში, სასწავლო გარემოში, სკოლის მმართველობასა და მართვაში - კლიმატის ცვლილებასთან, კატასტროფათა რისკის შემცირებასა და გარემოსდაცვასთან დაკავშირებული საკითხების ჩართვას. იგი, ასევე, თითოეული სექტორის მიერ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული საკუთარი მიზნების მიღწევის პარალელურად, მოითხოვს სექტორებს შორის თანამშრომლობას, განათლების შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების (მათ შორის კატასტროფათა რისკის შემცირების შესახებ განათლების) ჩართვა ბავშვზე ორიენტირებული სკოლების სასწავლო პროგრამაში არის გარემოს დაცვასთან დაკავშირებით ბავშვთა უფლებების რეალიზაციის გარანტია, ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის თანახმად. იგი ასევე ეხმარება პედაგოგებსა და სხვა სპეციალისტებს აღმოაჩინონ აშკარა კავშირი გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ უფლებებსა და ბავშვის უფლებებს შორის.

კავშირი ათასწლეულის განვითარების მიზნებს, კლიმატის ცვლილებასა და კატასტროფებსა და განათლებას შორის[xiv]

ათასწლეულის განვითარების მიზნები	კლიმატის ცვლილებებთან და ბუნებრივ კატასტროფებთან კავშირი	განათლების საშუალებით ადაპტაციისა და რისკის შემცირების მაგალითები
მიზანი 1: უკიდურესი სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა	• კლიმატის ცვლილება და მისით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფები ნავარაუდებია რომ გამოიწვევს ღარიბი ადამიანების საარსებო საშუალებების შემცირებას, მათ შორის მათი ჯანმრთელობის გაუარესებას, წყლის რესურსებზე წვდომის შემცირებას, საბინაო პირობებისა და ინფრასტრუქტურის გაუარესებას. • კლიმატის ცვლილება და მისით გამოწვეული ბუნებრივ კატასტროფათა ჯაჭვი სავარაუდოდ შეცვლის ეკონომიკური ზრდის მიმართულებასა და ტემპს, ბუნებრივ სისტემებსა და რესურსებში, ინფრასტრუქტურასა და შრომისნაყოფიერებაში გახორციელებული ცვლილებების გავლენით. ეკონომიკური ზრდის შემცირება პირდაპირ ზემოქმედებს სიღარიბის დონეზე, შემოსავლების შემცირების გავლენით. • მოსალოდნელია სურსათის უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული სიტუაციის გაუარესება, განსაკუთრებით აფრიკის ქვეყნებში.	• ახალგაზრდები, რომლებიც სკოლაში არ ირიცხებიან, და ქალები მნიშვნელოვან სარგებელს ღებულობენ პროფესიული განათლებით, რომელიც ალტერნატიულ საარსებო საშუალებებს, მცირე მეწარმეობას და სხვა "მწვანე" სამუშაო უნარების განვითარებას მოიცავს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოსთან და ბუნებრივი კატასტროფის რისკებთან. აღნიშნული პროფესიული განათლება ხელს უწყობს წინააღმდეგობის უნარის გამომუშავებასა და მდგრადობისა და მათი მომავალი დასაქმების პერსპექტივების ზრდას. • ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხიანი განათლებით უზრუნველყოფა პირდაპირ ზემოქმედებს განვითარებაზე და სიღარიბის შემცირებაზე. • სკოლის ტერიტორიაზე მებაღეობის პროგრამები ემსახურება ჯანსაღი კვების ხელშეწყობას.

მიზანი 2: დაწყებითი განათლების უზრუნველყოფა ყველასთვის	• ბუნებრივმა კატასტროფებმა შეიძლება გამოიწვიოს საარსებო საშუალებების (სოციალური, ბუნებრივი, ფიზიკური, ადამიანური და ფინანსური კაპიტალის) კარგვა, მათ შორის სკოლის ინფრასტრუქტურის განადგურება. ამგვარმა დანაკარგებმა შეიძლება მრავალი გზით შეამციროს სწავლის შესაძლებლობები. ბუნებრივი კატასტროფები ხშირად ართმევს ბავშვებს დროს, რომელიც მათ სწავლას უნდა დაუთმონ, ხოლო გადაადგილებამ და მიგრაციამ შეიძლება შეამციროს განათლების ხელმისაწვდომობა.	• სკოლების კონსტრუქცია გათვლილია იმაზე, რომ გაუძლოს საფრთხეებს. • სკოლაში შეტანილია გარემოსდაცვითი განათლება. • საზოგადოება, ახალგაზრდების თაოსნობითა და ხელმძღვანელობით, აწარმოებს რისკების შეფასებას და შეიმუშავებს კატასტროფებისთვის მზადების გეგმას. • სკლებში დამონტაჟებულია ადრეული გაფრთხილების სისტემები. • ღონისძიებები ემსახურება კლიმატის ცვლილების ცნობადობის ამაღლებას და კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების მიმართულებით ადვოკატირებას.
მიზანი 3: გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდა	• კლიმატის ცვლილება და მისით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების ჯაჭვი, ნავარაუდებია, რომ გამოიწვევს გენდერული უთანასწორობის გაღრმავებას. ბუნებრივი რესურსებისა და სოფლის მეურნეობაში მწარმოებლურობის შემცირებამ შეიძლება უარყოფითი ზემოქმედება იქონიოს ქალთა და გოგონების ჯანმრთელობაზე და მათ აღარ დაუტოვოს გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და შემოსავლის მომტან საქმიანობებში მონაწილეობის დრო. • კვლევა აჩვენებს, რომ ბუნებრივი კატასტროფების შედეგად უფრო მეტად ზარალდება ის შინამეურნეობები, რომლებსაც ქალები უძღვებიან და ბუნებრივი კატასტროფები ხელს უწყობს გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევათა ზრდას.	• სასწავლო პროგრამები ორიენტირებულია გენდერულ თანასწორობაზე და კლიმატის ცვლილებასთან, კატასტროფებისათვის მზადებასა და რისკების შემცირებასთან დაკავშირებული პედაგოგიკა ითვალისწინებს გოგონებისა და ქალების პრობლემატიკას. • სკოლაში შექმნილია უსაფრთხო გარემო, რომელიც ითვალისწინებს გოგონების საჭიროებებს, ცალკეა გამოყოფილი ტუალეტები გოგონებისათვის და გატარებულია ადაპტაციისათვის საჭირო სხვა ღონისძიებები.
მიზანი 4: ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება	• ბავშვები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ფიზიკური დაზიანებისასა და ტრავმების მიმართ, ბუნებრივი კატასტროფების დროს. • კლიმატის ცვლილების პირდაპირი შედეგები მოიცავს გადაჭარბებულ სიცხესთან დაკავშირებულ სიკვდილიანობას და დაავადებებს. • კლიმატის ცვლილება, სავარაუდოდ, გამოიწვევს ჯანმრთელობის უმთავრესი საწინდარის - სასმელი წყლის რაოდენობის შემცირებასა და ხარისხის გაუარესებას. რაც გამოიწვევს საკვები პროდუქტების სიმწირეს, რომელიც უკავშირდება ბუნებრივი რესურსებისა და პროდუქტიულობის შემცირებასა და კვების უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული სიტუაციის გაუარესებას.	• სკოლამდელი ასაკის ბავშვები ეცნობიან საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნასთან, ევაკუაციასთან და პირველად სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. • წარმოებს საევაკუაციო თავშესაფრების შენება და სკოლების კონსტრუქცია გათვლილია იმაზე, რომ გაუძლოს საფრთხეებს. • სკოლებში, განსაკუთრებით სკოლამდელ დაწესებულებებში, უზრუნველყოფილია წვდომა სამედიცინო მომსახურებაზე, მოსწავლეებს მიეწოდებათ სუფთა სასმელი წყალი, უსაფრთხო და სათანადო საკვები, დაცულია სანიტარული ნორმები. • სკოლებში წარმოებს ბავშვების განათლება სანიტარიასა და ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებში. • სკოლებში წარმოებს კოღოების გამრავლების ადგილების შესახებ მოსწავლეთა ინფორმირება, ტარდება ზომები დამდგარი წყლის ამოშრობისა და

		მსგავსი პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით. • სკოლის ბაღები და სასკოლო კვების პროგრამები ახალგაზრდების ჯანმრთელობას ემსახურება.
მიზანი 5: დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება	• ბავშვები და ორსული ქალები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან ვექტორებით გამოწვეული და წყლით გამოწვეული დაავადებების მიმართ. ორსულ ქალებს ესაჭიროებათ სრულფასოვანი კვება და ჯანსაღი საკვები, რომლის მარაგიც მცირდება კლიმატის ცვლილებისა და ბუნებრივი კატასტროფების გავლენით.	• სკოლებში წარმოებს სამედიცინო მომსახურების მიწოდება და მალარიის საწინააღმდეგო აბების დარიგება. • ახალგაზრდა დედები თავიანთ სკოლებში იღებენ განათლებასა და სრულფასოვან კვებას.
მიზანი 6: აივ/შიდსთან, მალარიასთან და სხვა დაავადებებთან ბრძოლა	• კლიმატის ცვლილებამ და მისით გამოწვეულმა ბუნებრივმა კატასტროფებმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს ვექტორებით გამოწვეულ დაავადებათა შემთხვევების ზრდას და მოსახლეობის დაუცველობის ზრდას წყლითა და საკვებით გამოწვეული დაავადებებით, ან ადამიანიდან ადამიანზე გადამდები დაავადებებით დასნევობნების მიმართ.	• სკოლებში წარმოებს სამედიცინო მომსახურების მიწოდება, მოსწავლეებს მიეწოდებათ სუფთა სასმელი წყალი, უსაფრთხო და სათანადო საკვები, დაცულია სანიტარული ნორმები. • სკოლებში წარმოებს ბავშვების განათლება სანიტარიასა და ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებში. • სკოლებში წარმოებს კოღოების გამრავლების ადგილების შესახებ მოსწავლეთა ინფორმირება, ტარდება ზომები დამდგარი წყლის ამოშრობისა და მსგავსი პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით.
მიზანი 7: ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფა	• კლიმატის ცვლილება და მისით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფების ჯაჭვი გამოიწვევს ბუნებრივი რესურსებისა და ეკოსისტემების ცვლილებას ან მათ შეუქცევად დაზიანებას, რაც ზემოქმედებას იქონიებს პროდუქტიულობაზე. ამ ცვლილებებმა შეიძლება ასევე გამოიწვიოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირება და დააჩქაროს გარემოს დეგრადაცია.	• სკოლებში ხელმისაწვდომია სუფთა სასმელი წყალი, სკოლებში წარმოებს ბავშვების განათლება სანიტარიასა და ჰიგიენასთან დაკავშირებულ საკითხებში. • წარმოებს ხეების დარგვის კამპანიების ინიცირება. • სკოლების შემოგარენში წარმოებს ბაღების გაშენება. • სკოლებში ხორციელდება კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლება და გარემოსდაცვითი განათლება და განათლება მდგრადი განვითარებისათვის.
მიზანი 8: მსოფლიო თანამშრომლობა განვითარებისათვის	• კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ გლობალურ საკითხზე რეაგირება მოითხოვს ყველა ქვეყნის თანამშრომლობას, განსაკუთრებით ისეთი მიმართულებით, როგორიცაა განვითარებადი ქვეყნების დახმარება კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციაში.	• ექსპერტთა და დაინტერესებულ მხარეთა გლობალური ქსელი მხარს უჭერს კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და კატასტროფების რისკის შემცირების საკითხების ჩართვას განათლებაში. • ყველა დონეზე პარტნიორებთან ურთიერთობისას წარმოებს ბავშვის უფლებების კონვენციისა და კლიმატის ცვლილების განხილვა. • ახალგაზრდების გლობალური ქსელები და კლიმატის ცვლილების შერბილებისა და სამართლიანობისა და თანასწორობის მოთხოვნით წარმოებული მოძრაობები სარგებლობენ მხარდაჭერით.

2

თეორიის პრაქტიკაში დანერგვის დინამიკა

წინამდებარე ნაწილში მოცემულია, სხვადასხვა კონტექსტში, ბავშვზე ორიენტირებულ სკოლებში, კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების სხვადასხვა მოდელის ჩართვის გზები. ვარიაციები და მოდიფიცირება გარდაუვალი და მოსალოდნელია. მიუხედავად ამისა, ბავშვზე ორიენტირებული ყველა სკოლა უნდა იზიარებდეს ბავშვის უფლებათა კონვენციის ძირითად პრინციპებს.

ამინდის მრავალფეროვნების მსგავსად, მრავალფეროვანია ის მიდგომები, რომლებსაც სკოლები იყენებენ კლიმატის ცვლილებისა და კატასტროფათა რისკის შემცირების შესახებ სწავლებისას. საჰარას უდაბნოს სამხრეთით მდებარე ტერიტორიების მოსახლეები, მაგალითად, ცდილობენ გაუმკლავდნენ პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება წყლის დეფიციტს და ხშირ გვალვებს, მაშინ როცა ბანგლადეშის მოსახლეობა ებრძვის ხშირ წყალდიდობებსა და ცდილობს გაუმკლავდეს წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებულ პრობლემას.

მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით იჩენს თავს კლიმატის ცვლილება, კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილება და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირება წარმოადგენს ორ უმთავრეს სტრატეგიას, რომლებიც ემსახურება რისკების შემცირებასა და კლიმატის ცვლილებით დაზარალებული მოსახლეობის შესაძლებლობების გაფართოვებას. კლიმატის ცვლილების შედეგების „შერბილება“ მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება სათბური აირების ემისიის შემცირებას. ‘ადაპტირება’ ემსახურება ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი სისტემების შეცვლას, იმ რისკების შემცირების მიზნით, რომელთა წინაშეც მოწყვლადი მოსახლეობა დგას. კონტექსტის გათვალისწინებით, ბავშვზე ორიენტირებული სკოლები უნდა იყენებდეს როგორც შერბილების ასევე ადაპტირების სტრატეგიებს.

როგორც განვითარებად ქვეყნებში, ასევე განვითარებული მრეწველობის მქონე ქვეყნებში, ბავშვზე ორიენტირებული სკოლების მიერ არჩეული მიდგომა უნდა ემყარებოდეს იმ სტრატეგიებს, რომლებიც მათი მოსახლეობისათვის პრიორიტეტულ მიზნებს ემსახურება. თუმცა, საკითხის ზედმეტად გამარტივება იქნება იმის მიჩნევა, რომ სკოლებს, კონტექსტის მიხედვით, შეუძლიათ კლიმატის ცვლილებაზე რეაგირებისას შემოიფარგლონ მხოლოდ კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილებით ან კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებით. იმისათვის, რათა ბავშვებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით ჩამოუყალიბდეთ ჰოლისტიკური ხედვა და შეძლონ სათანადო ზომების მიღება, ისინი უნდა ფლობდნენ ინფორმაციას შერბილებასა და ადაპტაციას შორის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და, ასევე, იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია სკოლის საზოგადოებას საკუთარი წვლილი შეიტანოს კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილებისა ან კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირების საქმეში.

კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების სტრატეგიები ბავშვზე ორიენტირებულ სკოლებში

მსოფლიო მასშტაბით, ბავშვზე ორიენტირებული ბევრი სკოლა აწარმოებს კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების ჩართვას სასწავლო პროგრამებში. ყველაზე ფართოდ გავრცელებულ სტრატეგიებს განეკუთვნება შემდეგი სტრატეგიები:

ა. კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების ჩართვა სასწავლო პროგრამაში, ადგილობრივი კონტექსტის შესაბამისი ადაპტაციის საშუალებით. მხოლოდ გაკვეთილები, რომლებიც ეძღვნება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ცალკეულ თემებს, როგორიცაა გლობალური დათბობა, სათბურის ეფექტი ან ამინდით გამოწვეული ბუნებრივი კატასტროფები, საკმარისი არ არის. კლიმატის ცვლილების შედეგად დაზარალების რისკის ქვეშ მყოფმა მოსახლეობამ უნდა შეიმუშაოს ადგილობრივი ადაპტაციის პოლიტიკა და პრაქტიკა, კატასტროფების რისკის შემცირების, საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის გეგმები და დასახოს ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული მდგრადი განვითარების მიზნები. საუკეთესო არჩევანს წარმოადგენს ეროვნულ კონტექსტზე მორგებული, ბავშვზე ორიენტირებული, მონაწილეობითი მიდგომა. სამხრეთ აფრიკაში, მაგალითად, დაინტერესებულმა მხარეებმა, მათ შორის ეროვნულმა გარემოსდაცვითმა საგანმანათლებლო პროგრამამ და ამინდის სამსახურმა, შეიმუშავეს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სასწავლო მასალები. ამ მიმართულებით შემუშავებული ინსტრუმენტები მოიცავდა რესურსების შესახებ სახელმძღვანელოს, ტრენინგებს, სკოლებს შორის კონკურენციას და ეროვნული მედიის საშუალებით წარმოებულ კამპანიას.

ბ. მასწავლებელთა მომზადება. მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამებისა და მოდულების დიდი რაოდენობა მოიცავს კლიმატის ცვლილებასთან, გარემოსდაცვით განათლებასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნულ მოდულებსა და პროგრამებს საერთო ძირითადი მიზნები გააჩნია: მასწავლებელთა განათლება გარემოსდაცვის, კლიმატისა და მდგრადი განვითარების საკითხებში; საჭირო უნარების განვითარებაში მათი დახმარება და მათი უზრუნველყოფა პედაგოგიკასთან დაკავშირებულ საკითხებში მხარდაჭერით. ბავშვზე ორიენტირებული სკოლებისათვის, მასწავლებელთა მომზადების ჭეშმარიტად ინოვაციური მიდგომა ორ პრიორიტეტს უნდა ეფუძნებოდეს:

- მასწავლებელთა კოორდინირებული ტრენინგი ბავშვის უფლებებზე დამყარებული მეთოდოლოგიის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- საზოგადოების ინტენსიური და ორგანიზებული მონაწილეობა.

აღნიშნული სახელმძღვანელოები უნდა ემსახურებოდეს მასწავლებელთა ინფორმირებას კლიმატის ცვლილების სოციალური ასპექტების შესახებ, მათ შორის გენდერის, სოციალური სტატუსისა და სხვა სოციალური მახასიათებლების როლის შესახებ. მასწავლებელთა მომზადებაში კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების ჩართვის მცდელობას შესაძლებელია გარკვეული წინააღმდეგობები მოჰყვეს. პოლიტიკის შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებს შეიძლება გაუჩნდეთ განცდა, რომ კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლება და გარემოსდაცვითი განათლება გამოიწვევს მასწავლებლების ძირითადი საქმიანობიდან მოწყვეტას, რომლებსაც ისედაც გადატვირთული გრაფიკი აქვთ. თუმცა, მას შემდეგ, რაც მასწავლებლები საკმარის პასუხისმგებლობას იღებენ, ისინი სწრაფად აანალიზებენ ამ მიმართულებით ტრენინგის

სოციალურ მნიშვნელობას და სარგებლობენ მშობლებისა და მოსწავლეების მხარდაჭერით. მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი სამხრეთ მექსიკაში, სადაც მდგრადი განვითარებისათვის განათლების მიმართულებით მასწავლებელთა მომზადების მრავალმხრივი და ყოვლისმომცველი პროექტი განხორციელდა. პროექტი მოიცავდა ტრენინგებს, სემინარებს, კონგრესებს, ფორუმებსა და დისტანციურ განათლებას. სახელმძღვანელოებში დამატებით შეტანილი იქნა ახალი სასწავლო მასალა, მათ შორის თემები, რომლებიც ეხება ბიომრავალფეროვნებას, გარემოს დაბინძურებასა და ტყეების გაჩანაგებას.

გ. ცნობადობის ამაღლების სტრატეგიები. მედია კამპანიები, ახალგაზრდული რადიოპროგრამების, თეატრალური წარმოდგენებისა და მუსიკის საშუალებით გაჟღერებული გზავნილები, კონფერენციები, გარემოს დაცვისადმი მიძღვნილი დღესასწაულები და სკოლის ფარგლებში და მის მიღმა გამართული სხვა ღონისძიებები და გახორციელებული პროგრამები ხელს უწყობს ოფიციალური სასწავლო პროგრამების გახორციელებას და მნიშვნელოვნად ამყარებს მოსწავლეების მიერ შეძენილ ცოდნასა და უნარებს. აღნიშნული სტრატეგიები მოითხოვს თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან. ალბანეთში, მაგალითად, გარემოსდაცვითი განათლების ინიციატივის შედეგად, რომლებსაც სათავეში ბავშვები ედგნენ, ჩამოყალიბდა პარტნიორობა ადგილობრივ კომპანიებთან, რომელთა დახმარებითაც სკოლის მოსწავლეები გაეცნენ გადამუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს, გახორციელდა სასწავლო პროგრამების რეფორმა, მასწავლებელთა მომზადება და საზოგადოების მასშტაბით წარიმართა მედია კამპანია. შედეგად, შერჩეულ სკოლებში ბავშვების თითქმის ნახევარმა შეიძინა გარემოსდაცვის მიმართულებით სასარგებლო მინიმუმ ერთი ქცევა.[xv]

დ. არაფორმალური განათლება. ბავშვზე ორიენტირებული სკოლის მიდგომა წარმოადგენს ყოვლისმომცველ კონცეფციას, რომელიც მოიცავს ბავშვობის ასაკს (0–18 წლამდე). საუკეთესო შემთხვევაში, არაფორმალური და ფორმალური საგანმანათლებლო სისტემები ერთმანეთს ავსებს, მუშაობს როგორც ერთი მთლიანი სისტემა და ემსახურება ყველა მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას.[xvi] გაკვეთილების შემდგომი აქტივობები მოსწავლეებს სთავაზობს გარემოსთან ურთიერთობის შესაძლებლობას, ექსკურსიების, კვლევითი და პრაქტიკული პროექტების საშუალებით და, ასევე, ათვისებული მასალის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას. განათლება, რომელიც ორიენტირებულია მწვანე სამუშაოებზე და კატასტროფების რისკის შემცირებაზე, ახალგაზრდებს ეხმარება შემოქმედებითი აზროვნების უნარის განვითარებაში, ხელს უწყობს მათ ჩართვას პროდუქტიულ სამუშაოში და აძლევს მათ შესაძლებლობას საკუთარი წვლილი შეიტანონ განვითარებად მწვანე ეკონომიკაში. მაგალითად, ლესოთოში, გარემოს დაცვის ეროვნული ახალგაზრდული კორპუსი ახალგაზრდებს, რომლებმაც სკოლაში სწავლა შეწყვიტეს და სამუშაო არ აქვთ, სთავაზობს ანაზღაურებადი საქმიანობებით დაკავების შესაძლებლობას, როგორიცაა ხის ნერგების წარმოება და რეალიზაცია, გადამუშავება და ფერმერული მეურნეობა.[xvii]

© UNICEF/NYHQ2004-1327/Noorani

ე. ბავშვის საჭიროებებზე მორგებული, დაცული ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფა. კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვით განათლებასთან დაკავშირებულ პროექტებს, უმეტესწილად სკოლის ფარგლებში და სკოლის შემოგარენში ეყრება საფუძველი. ბუნებრივი კატასტროფები და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მოვლენები, როგორიცაა მიწისძვრა, ქარიშხალი, გვალვა ან წყალდიდობა, საჭიროებს სკოლების მიერ მთელი რიგი ზომების მიღებას, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და კატასტროფებისთვის მზადყოფნის მიმართულებით. სკოლებში ასევე შესაძლებელია ბავშვის საჭიროებებზე მორგებული გარემოს ხელშეწყობა, გარემოსდაცვითი მიმართულებით თვალსაჩინო საგანმანათლებლო გზავნილების საშუალებით. 2004 წელს ჩრდილო–აღმოსავლეთ შრი–ლანკაში მომხდარი ცუნამის შემდგომ, ტრინკომაილის რაიონის სკოლების მოსწავლეები სათავეში ჩაუდგნენ კატასტროფის შემდგომ სკოლების რეკონსტრუქციისა და შეკეთების ინიციატივას. სკოლის კედლებზე გამოსახული ზოგიერთი ნახატი შეიცავდა გზავნილს იმის თაობაზე, თუ როგორ არის შესაძლებელი გარემოს დაცვა. თუმცა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროექტის საშუალებით დადასტურდა, რომ დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს უმთავრეს მიზანს. 800 მოსწავლის უშუალო მონაწილეობით წარმართულმა ამ ინიციატივამ აჩვენა, რომ ბავშვზე ორიენტირებული სკოლების ძირითად პრინციპებს წარმოადგენს: ბავშვზე ორიენტირება, დაცვა, ინკლუზიურობის უზრუნველყოფა და ბავშვთა მონაწილეობის ხელშეწყობა.

ვ. წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლებში. წყლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემა წარმოადგენს კლიმატის ცვლილების ერთ-ერთ ყველაზე დამანგრეველ შედეგს, განსაკუთრებით მშრალ, გვალვისადმი მიდრეკილ ადგილებში. რაც უფრო ხშირდება გვალვა და გაუდაბნოება, მით უფრო მწვავედ დგება წყალთან და სანიტარულ პირობებთან დაკავშირებული პრობლემები, მათ შორის ბავშვზე ორიენტირებულ სკოლებში. ამ პრობლემებთან გამკლავების ყველაზე წარმატებული მაგალითები ფიზიკურ გარემოზე ზრუნვას აკავშირებს ცხოვრებისეულ უნარებზე დაფუძნებული ჰიგიენის სწავლებასთან და ემყარება გენდერულად მგრძნობიარე მიდგომას. მაგალითად, მალავიში, თვისებრივი კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ როდესაც გოგონებისთვის სკოლაში ხელმისაწვდომია საპონი და პირადი სანიტარული საშუალებები, დასწრების მაჩვენებლები იზრდება და სკოლაში სწავლის შეწყვეტის მაჩვენებელი მცირდება.

ზ. მწვანე სკოლების ხელშეწყობა. ცვლილებები, რომლებსაც ადგილი აქვს სასკოლო გარემოში, ადასტურებს კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და ხარისხიანი გარემოსდაცვითი

განათლების საჭიროებას. ‘მწვანე სკოლების’ მთავარ მიდგომას წარმოადგენს კლიმატის ცვლილებისადმი მედეგი და მდგრადი სკოლების შექმნა. კარგად დაგეგმილ მწვანე სკოლებში უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათება, შენობაში ჰაერის მაღალი ხარისხი და ვენტილაცია; აღნიშნული სკოლები ენერგოეფექტურია და ეფექტურად იყენებს წყლის რესურსებს; შენობებში გამოყენებულია ჯანსაღი ადგილობრივი სამშენებლო მასალები და განახლებადი ენერგია. ინდონეზიაში, ბალის კუნძულზე მდებარე მწვანე სკოლა აშენებულია თითქმის მხოლოდ ბამბუკით, ადგილობრივი განახლებადი რესურსით. სკოლის მისიაა მოსწავლეებს გამოუმუშაოს პასუხისმგებლობა და გარემოსადმი არასაზიანო ჩვევები, მდგრადი განვითარების პრინციპების სწავლების პარალელურად.[xviii]

თ. კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვით განათლებასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელება კონკრეტული საზოგადოების დონეზე. ბავშვზე ორიენტირებული სკოლების სახელმძღვანელოში საუბარია სკოლებსა და თემებს შორის არსებულ ფუნდამენტურ კავშირზე და იმ ორმხრივ სარგებელზე, რომელიც მოაქვს საზოგადოების ჩართულობით განხორციელებულ კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვით განათლებას. სამხრეთ ნეპალში, სკოლებსა და თემებში განხორციელებული კატასტროფების რისკის მართვის პროექტების წარმატება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ აღნიშნული პროექტები გენდერულ თანასწორობაზე იყო ორიენტირებული. ერთ-ერთი პროექტი, რომელიც კატასტროფების რისკის შემცირებას ემსახურებოდა, გოგონების ხელმძღვანელობით წარიმართა. აღნიშნული მიდგომის რეალური ეფექტურობა დადასტურდა მომხდარი წყალდიდობის დროს. მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი კვლევები არ არის ხელმისაწვდომი, მტკიცებულებით დგინდება, რომ ბავშვზე ორიენტირებული სკოლის მიერ, გოგონათა ხელმძღვანელობით განხორციელებულ პროექტზე საზოგადოების რეაგირება უფრო პროაქტიული და ორგანიზებული იყო, რამაც შედეგად სიცოცხლისა და ქონების ნაკლები დანაკარგი გამოიწვია.[xix]

3

ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკა და მასწავლებელთა განათლება

ბავშვზე ორიენტირებული სკოლების მიდგომა შემდეგ პრინციპებს ემყარება:

ა. ინტერაქტიული სწავლების მეთოდოლოგია;
ბ. ბავშვის მონაწილეობა;
გ. მასწავლებლები, სწავლის ფასილიტატორების როლში;
დ. ჯგუფური თანამშრომლობა და პოზიტიური კონკურენცია;
ე. აქტივობაზე დაფუძნებული სწავლის მეთოდები.

კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლება და გარემოსდაცვითი განათლება ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის აღნიშნული პრინციპების დანერგვისათვის. გარემოსდაცვითი განათლება მცირე პედაგოგიურ რესურსებს საჭიროებს, რაც სკოლების უმრავლესობისათვის ძალიან

ხელსაყრელია. მოწადინებულ და მოტივირებულ მასწავლებელს შეუძლია იპოვოს გარემოსდაცვასთან და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საქმიანობაში ბავშვების ჩართვის უამრავი გზა.

სიცოცხლის მანძილზე საჭირო ცხოვრებისეულ უნარებზე დაფუძნებული მიდგომა

კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების პროგრამა, ისევე როგორც სხვა სფეროებში სწავლა-სწავლების პროგრამები, ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვთა უნარების განვითარებაზე. გაკვეთილები უნდა იყოს კუმულაციური, ერთმანეთთან დაკავშირებელი და ერთმანეთზე დამყარებული და სწავლება უნდა ხორციელდებოდეს წლიდან წლამდე. ქვევით მოცემულია სქემა, რომელზეც ნაჩვენებია ბავშვთა გარემოს მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობები.

კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლება და გარემოსდაცვითი განათლება, მათ შორის კატასტროფათა რისკის შემცირების მიმართულებით, უმჯობესია ინტეგრირებული იყოს არსებულ საგნებში, ვიდრე შეტანილი იყოს ცალკე საგნის ფორმით. კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების ჩართვა შესაძლებელია კონკრეტული რაოდენობის ძირითად საგნებში, რომლებიც მოიცავს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, სოციალურ მეცნიერებებსა და ჯანმრთელობას, ან გადანაწილებული იქნას მთელ სასწავლო პროგრამაზე. ზოგჯერ აღნიშნული ორივე მიდგომის ერთობლივად გამოყენება წარმოებს. აღნიშნულ ორივე მიდგომას საკუთარი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნია. ძირითად საგნებში ჩართვა საჭიროებს მასწავლებლების მომზადებას და უკეთ მიმდინარეობს კონტროლი იმისა, თუ როგორ ფლობს მოსწავლე ათვისებულ მასალას. მთელ სასწავლო პროგრამაზე გადანაწილება უფრო ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს კარგად სტრუქტურირებული და მაღალხარისხიანი განათლების სისტემის ფარგლებში. მწირი რესურსების პირობებში და პროგრამის საწყის ეტაპზე რეკომენდირებულია ძირითად საგნებში ჩართვის მიდგომის გამოყენება.

თითოეულ სკოლაში, ცხოვრებისეულ უნარებზე დაფუძნებული მიდგომა უნდა ედოს საფუძვლად სწავლის სასურველ შედეგებს. აღნიშნული მიზნები უნდა ასახავდეს ბავშვთა უფლებებს მათივე საზოგადოებაში, მათ შორის გარემოსთან დაკავშირებულ რისკ-ფაქტორებსა და ამ რისკებისგან დაცვის მექანიზმებს. გარემოსდაცვითი კონტექსტი დამოკიდებულია ადგილობრივად არსებულ და პროგნოზირებულ კლიმატურ პირობებზე, ბუნებრივ კატასტროფებთან დაკავშირებულ რისკებზე, წყლის ხელმისაწვდომობასა და ხარისხზე, საარსებო წყაროებთან დაკავშირებულ სტრატეგიებზე, ბუნებისა და გარემოს ადგილობრივი კულტურისთვის დამახასიათებელ აღქმაზე, გარემოს დაბინძურების დონეზე და ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობასა და გამოყენებაზე. ასაკის შესაბამისი სწავლის შედეგების მაგალითები მოყვენილია ქვევით მოცემულ ცხრილში.

ბავშვზე ორიენტირებულ სკოლებში, კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვით განათლებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ემყარება ბავშვთა მედეგობას ადგილობრივ გარემოსთან დაკავშირებული რისკების მიმართ და ხელს უწყობს ბავშვთა ჯანმრთელობასა და მათ ხანგრძლივ კეთილდღეობას. სწავლის შედეგები მოიცავს მდგრადი საარსებო საშუალებების შესახებ ცოდნას; ადგილობრივ გარემოსთან და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საფრთხეებთან გამკლავების უნარს; და პოზიტიურ დამოკიდებულებასა და ქცევას, რომლებიც უკავშირდება გარემოს დაცვასა და მდგრადი განვითარების შესაბამის მოხმარებას.

გარემოს მართვასთან დაკავშირებული შესაძლებლობები ბავშვებში*

გარემოზე წვდომა	გარემოსთან დაკავშირებული ინტერესები	ეკოლოგიური ხედვა	თანაგრძნობა და მორალური განვითარება	სოციალური ხედვა და უნარები	პოლიტიკური ხედვა

14 წლის და მეტი ასაკის

ეკოლოგიის მიმართულებით საზოგადოების მიერ გატარებული ღონისძიებების კვლევა: ეკოსისტემების შენარჩუნებისათვის სტრატეგიული ქმედებების შემუშავების მიზნით

საზოგადოების ბაზაზე წარმოებული მონიტორინგი: მაგ. წყლის ხარისხის, მყარი ნარჩენების კვლევა, შინამეურნეობის პირობებში სურსათის წარმოების აუდიტი და ა.შ.

12 წლის

გარემოს დაცვის მიმართულებით საზოგადოების მიერ გატარებული ღონისძიებების კვლევა: მაგ. ინტერვიუები მოსახლეობასთან, გარემოს დაცვის სპეციალისტებთან და ა.შ., პირად შეფასებებთან ერთად, პრობლემატური საკითხების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების მიზნით

გარემოსდაცვითი მართვა საზოგადოების დონეზე: მაგ. წყლის ჭაბურღილების ან წყლის მიწოდების წერტილების მართვა, ბაღში არსებული ნარგავების და ა.შ. მართვა, პოლიტიკური ჩართულობისა და კომუნიკაციების პროგრამის ფარგლებში

10 წლის

საზოგადოებრივი პროექტები: დაკვირვება და პრაქტიკული დახმარება: მაგ. საზოგადოების დებატების მოსმენა, ინტერვიუები სპეციალისტებთან და პოლიტიკოსებთან, საგაზეთო სტატიების მოსამზადებლად, ახალი წყლის სისტემის მილების გაყვანა და ა.შ.

8 წლის

ადგილობრივ ღონისძიებათა კვლევა: მაგ. გამოკითხვები და მასალების შეგროვება, რომლებიც ემსახურება სკოლის ან საზოგადოებრივი ცენტრის გარემოში ცვლილებების შეტანას, მაგალითად, ფრინველებისთვის სახლის შენება ან სკოლის შემოგარენის დასუფთავება და ა.შ.

6 წლის

ადგილობრივი გარემოს მართვა: მაგ. გადამუშავება, გარემოს დაცვის მიმართულებით მარტივი აუდიტის წარმოება, კომპოსტირება, ამინდის კვლევა და ა.შ. სკოლის შემოგარენში ან სხვა ადგილზე.

გარემოზე ზრუნვა სახლის პირობებში, მაგ. შინაურ ცხოველებზე და მცენარეებზე ზრუნვა

კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და კატასტროფების რისკის შემცირების მიმართულებით სწავლის შედეგების ნიმუში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით[xxi]

სწავლის შედეგები - ცოდნა: მოსწავლეებს შეუძლიათ…		
სკოლამდელი ასაკის მოსწავლეები	**დაწყებითი სასკოლო ასაკის მოსწავლეები**	**საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლეები**
• გარემოს მნიშვნელობის გაცნობიერება. • საკუთარი როლის გაცნობიერება გარემოს სისუფთავის დაცვის საქმეში. • გარემოში ყოველდღიურად წარმოქმნილი რისკების იდენტიფიცირება და ამ რისკების თავიდან არიდება.	• სათანადო ინფორმაციითა და საინფორმაციო წყაროებით სარგებლობის მნიშვნელობის გაცნობიერება. • კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების გააზრება. • გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებების გააზრება. • ყოველდღიურ ცხოვრებაში ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობის გააზრება. • ძირითადი ეკოლოგიური ციკლების (ანუ წყლის ციკლის და სიცოცხლის ციკლის) გააზრება. • რისკებს, საფრთხეებსა და მოწყვლადობას შორის კავშირის გააზრება. • გარემოში ყოველდღიურად წარმოქმნილი რისკების იდენტიფიცირება და ამ რისკების თავიდან არიდება. • ყოველდღიურ გარემოში კატასტროფისთვის მზადყოფნის ძირითადი ელემენტების გააზრება. • დღევანდელი ქმედებების ისტორიული ფაქტორებისა და საკუთარ თავზე, სხვებზე და ადგილობრივ გარემოზე ამ ქმედებების სამომავლო შედეგების გააზრება. • გაცნობიერება იმისა, რომ სოციალური ნორმები და კოლექტიური ქცევა შეიძლება იყოს როგორც რისკ-ფაქტორი, ასევე დამცავი ფაქტორი.	• სათანადო ინფორმაციის იდენტიფიცირება და ანალიზი. • კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და კატასტროფების რისკის შემცირების ცნებების გაცნობიერება. • ადგილობრივი ეკოლოგიური ციკლების (ე.ი. წყლის, საკვების) გააზრება, რაც საჭიროა ადგილობრივი რესურსების შენარჩუნებისათვის; გარემოს სხვა ფაქტორებთან და სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან ამ ციკლების ურთიერთქმედების გააზრება. • სამომსხმარებლო პროდუქტების სასიცოცხლო ციკლისა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ცნებების (მათ შორის, რესურსების ხელახალი გამოყენება, გადამუშავება და შენარჩუნება) გააზრება. • დღევანდელი ქმედებების ისტორიული ფაქტორებისა და საკუთარ თავზე, სხვებზე და ადგილობრივ და გლობალურ გარემოზე ამ ქმედებების სამომავლო შედეგების გააზრება. • ადგილობრივად და გლობალური მასშტაბით გახორციელებული ქმედებებისა და მათი შედეგების ურთიერთქმედება, კლიმატის ცვლილებებთან და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით.

		• კატასტროფისთვის მზადყოფნასთან დაკავშირებული ცნებების გააზრება. • რისკების, ადგილობრივი საფრთხეებისა და მოწყვლადობის იდენტიფიცირება და მათ შორის კავშირის გაცნობიერება. • რისკებსა და დაცვაზე სოციალური ნორმებისა და კოლექტიური ქცევის ზემოქმედების გაცნობიერება. • უთანასწორობასთან დაკავშირებული რისკების გაცნობიერება, რომელთა წინაშეც დგანან ინდივიდუალური პირები და საზოგადოება. • პრობლემების მოგვარების ალტერნატიული გზების შეფასება.
სწავლის შედეგები - დამოკიდებულებები: მოსწავლეები ავლენენ…		
სკოლამდელი ასაკის მოსწავლეები	**დაწყებითი სასკოლო ასაკის მოსწავლეები**	**საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლეები**
• მზრუნველობას ადგილობრივ გარემოზე. • ცოდნას გარემოსთან დაკავშირებული ძირითადი საფრთხეების შესახებ.	• მზრუნველობას ადგილობრივ გარემოზე. • პატივისცემასა და თანაგრძნობას სხვადასხვა ვითარებაში მყოფ და განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანების მიმართ. • პატივისცემას გარემოს შესახებ ადგილობრივი (მკვიდრი მოსახლეობის) ცოდნის მიმართ. • გარემოს დაცვასა და რისკების შემცირებასთან დაკავშირებით საკუთარი და სხვების უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ცოდნას. • პასუხისმგებლობას ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით. • ცოდნას შიშის, მწუხარების და დანაკარგის ამოცნობისა და მათთან გამკლავების გზების შესახებ.	• მზრუნველობას გარემოს მდგრადობასთან და კატასტროფათა რისკებთან დაკავშირებით, ასევე, ადგილობრივ და გლობალურ დონეზე გარემოსდაცვითი სამსახურების მნიშვნელობის გააზრების უნარს. • გარემოს დაცვასა და კატასტროფების რისკების შემცირებასთან დაკავშირებით საკუთარი და სხვების, მათ შორის ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის, უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ ცოდნას. • პასუხისმგებლობას ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით. • ცოდნას შიშთან, მწუხარებასა და დანაკარგთან პოზიტიურად გამკლავების გზების შესახებ.

		• სამომხმარებლო საქონლის შეძენამდე მათი ეკოლოგიური და სოციალური გავლენის გათვალისწინების უნარს. • პოზიტიურ დამოკიდებულებას ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური საკითხების რთული ურთიერთქმედების მიმართ.
სწავლის შედეგები - უნარები: მოსწავლეებს შეუძლიათ…		
სკოლამდელი ასაკის მოსწავლეები	**დაწყებითი სასკოლო ასაკის მოსწავლეები**	**საშუალო სასკოლო ასაკის მოსწავლეები**
• რესურსების გონივრული გამოყენება. • გარემოში არსებული საფრთხის თავიდან არიდება.	• ღიად და პატივისცემით ისაუბრონ ადგილობრივ გარემოში ჰარმონიულად ცხოვრებისა და რისკების შემცირების შესახებ. • გავრცელებული ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების იდენტიფიცირება (ანუ მცენარეებისა და ცხოველების). • გადასინჯონ თავისი ყოველდღიური ქმედებები და პრაქტიკა და შეიტანონ მასში ცვლილებები, გარემოზე ზრუნვის მიზნით. • საჭიროების შემთხვევაში მოიძიონ და მიიღონ დახმარება.	• ღიად და პატივისცემით ისაუბრონ ადგილობრივ და გლობალურ გარემოში ჰარმონიულად ცხოვრებისა და რისკების შემცირების შესახებ. • მოიყვანონ მაგალითები თუ როგორ არის შესაძლებელი თანამშრომლობის საშუალებით გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისა და კლიმატის ცვლილების შედეგებისა და კატასტროფათა რისკის შემცირების საქმეში წვლილის შეტანა. • ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების იდენტიფიცირება და გონივრულად გამოყენება. • გარემოს შენარჩუნებისა და რისკების შემცირების მიმართულებით საკუთარი წვლილის შეტანა ადგილობრივად განხორციელებულ ძალისხმევაში მონაწილეობით. • პოზიტიური სოციალური მიზნების მისაღწევად, აქტიურ მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკუთარი უფლებებთ სარგებლობა და პასუხისმგებლობის გამოჩენა. • საჭიროების შემთხვევაში მოიძიონ და მიიღონ დახმარება.

ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგია

ბავშვზე ორიენტირებულ სკოლებში სხვა აქტივობებისა და ღონისძიებების მსგავსად, სკოლის ფარგლებში ან სკოლის ფარგლებს გარეთ განხორციელებული გარემოსდაცვითი პროექტები ეფუძნება ბავშვზე ორიენტირების, ინკლუზიურობის, მონაწილეობისა და პროაქტიულობის პრინციპებს და ბავშვის უფლებებსა და თანასწორობის პრინციპებს.

ბავშვზე ორიენტირებული სწავლისა და სწავლების მეთოდოლოგია ხელს უწყობს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული, გამოცდილებასა და პროექტებზე დაფუძნებული სწავლის მეთოდების გამოყენებას.[xxii] მაგალითად, მებაღეობა ბავშვების მონაწილეობით ხელს უწყობს მათში ეკოლოგიური წიგნიერების განვითარებას. გარემოსდაცვითი პროექტები ბავშვზე ორიენტირებული სკოლების კონცეფციის არსებით ნაწილს შეადგენს და აღნიშნული პროექტები იმ შემთხვევაშიც იქნებოდა ჩართული ბავშვზე ორიენტირებული სკოლების კონცეფციაში, კლიმატის ცვლილება რომ გლობალურ პრობლემას არ წარმოადგენდეს.

თითქმის ყველა გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროექტი შესაძლებელია შემუშავდეს არა მხოლოდ ინკლუზიურობის ხელშეწყობის მიზნით, არამედ ტრადიციულად საზოგადოებისგან გარიყული ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვების გამოცდილების გათვალისწინების მიზნითაც. მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელი, ემიგრანტი ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განსხვავებული ცხოვრების წესი და გამოცდილება, ხშირად, მათ ცოდნის მნიშვნელოვან წყაროდ აქცევს. კვლევით საქმიანობაში მათი ჩართვა მათი შესაძლებლობების გაფართოვებას უწყობს ხელს.

გარემოსდაცვითი განათლების მიდგომები უნდა ითვალისწინებდეს განათლების მოსწავლეთა მრავაფეროვან გამოცდილებასთან და განსხვავებულ საცხოვრებელ გარემოსთან უკეთ შეთავსების გზებს.

მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელ ბავშვებს, მაგალითად, საკუთარი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ კვლევისა და პროექტების განხორციელების საქმეში, საკუთარი უნიკალური შესაძლებლობებისა და ადგილობრივი ბუნებრივი გარემოს შესახებ საკუთარი ცოდნის გამოყენებით. კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს დიდი როლი შეუძლიათ შეასრულონ ეკოლოგიური პროექტების განხორციელებაში, მაგალითად, მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვს ბუნების ელემენტის ამოცნობა შეუძლია სუნისა და შეხების მძაფრი აღქმის საშუალებით. გოგონები ხშირად მიიჩნევიან არაპრივილეგირებულებად, როდესაც საქმე ტექნოლოგიებს ეხება, თუმცა მათ დიდი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ მეურნეობასა და ბუნებასთან ურთიერთობის სფეროებში. ისინი უნდა მონაწილეობდნენ ტექნოლოგიის მდგრად განვითარებაში, შენარჩუნებასა და გამოყენებაში.

ბავშვის მონაწილეობა

ბავშვები, როგორც გარემოს მკვლევარები, ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკის ქვაკუთხედს წარმოადგენენ. ბავშვების მონაწილეობა შესაძლებელს ხდის და ახალისებს პრაქტიკული გამოცდილების მიღებას, კეთების საშუალებით სწავლას, ჯგუფურ მუშაობასა და მტკიცებულებების საფუძველზე დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღებას.

ბავშვზე ორიენტირებული სკოლების საშუალებით, კლიმატის ცვლილებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კვლევების ორგანიზების უდიდეს უპირატესობას წარმოადგენს

თემებისა და საზოგადოებების შესახებ დიფერენცირებული მონაცემების შეგროვების შესაძლებლობა. ხშირად, მთავრობებსა და მასშტაბურ კვლევით ორგანიზაციებს არ გააჩნიათ საზოგადოების დონეზე დიფერენცირებული მონაცემების შეგროვების საშუალება, რაც ინფორმაციის სრულყოფის თვალსაზრისით დიდ ხარვეზს წარმოადგენს. სკოლის სისტემებს ამ ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა გააჩნია, კლვევაში მონაწილეობისათვის, თითოეულ ქვეყანაში, ათასობით მოსწავლის მობილიზებით, რომლებსაც შეუძლიათ კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილების, მასთან ადაპტაციისა და კატასტროფებისათვის მზადყოფნის შესახებ სანდო და შესაბამისი მონაცემების შეგროვება.

კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვით განათლებასთან დაკავშირებული პროექტები ასევე იძლევა ბავშვთა ჭეშმარიტი მონაწილეობის შესაძლებლობას, ვინაიდან ამგვარი პროექტები, როგორც წესი, უშუალოდ უკავშირდება მოსწავლეთა ყოველდღიურ ცხოვრებას. დაწყებული სკოლის სათამაშო მოედნის უსაფრთხო ადგილად ქცევიდან, დამთავრებული ბუნებრივი კატასტროფისთვის მზადებით, კლიმატის ცვლილებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები ბავშვებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ბავშვთა მონაწილეობა აუცილებელია ბუნებრივი კატასტროფის შემდეგ აღდგენითი სამუშაოების დაგეგმვასა და განხორციელებაში. კრიზისის შემდგომ, ყოველდღიური ცხოვრების რეჟიმში დაბრუნება, რეაბილიტაციის მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. ახალგაზრდების ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით განხორციელებული აქტივობები და ღონისძიებები ბავშვების წახალისებასა და მათი შესაძლებლობების გაფართოვებას ემსახურება და შედეგად მათ აქვთ განცდა იმისა, რომ ისინი მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ისეთ საკითხებზე, რომლებიც არ შემოიფარგლება მხოლოდ სკოლაში დაბრუნებით. რაც უფრო მეტი სკოლა მისცემს საკუთარ მოსწავლეებს საშუალებას აირჩიონ საკუთარი პრიორიტეტები და საკითხები, რომლებიც მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მით უფრო ფართო იქნება ბავშვთა ჭეშმარიტი მონაწილეობის შესაძლებლობები.

ტაჯიკეთში, ბავშვების მიერ შედგენილი რუკები, რომლებზეც ასახულია წყლის ხარისხი

საზოგადოების ბაზაზე წარმოებულ კვლევასა და განვითარებაში მონაწილეობითი მიდგომების გამოყენებით შესაძლებელია ბავშვებისა და ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ჩართულობის უზრუნველყოფა. არსებობს ადგილობრივ კვლევებში ბავშვების ჩართვის უამრავი შესანიშნავი მაგალითი, რის გარეშეც ამ კვლევებში მკვლევართა წარმოუდგენლად დიდი რაოდენობის ჩართვა გახდებოდა საჭირო. მაგალითად, ტაჯიკეთის ასობით სკოლაში ბავშვები იყენებენ იაფფასიან კვლევის მოწყობილობებს, წყლის სინჯების ასაღებად თავიანთ სკოლებსა და სახლებში, წყლის ხარისხის შესახებ მონაცემთა შეგროვების მიზნით. შემაჯამებელი აქტივობის სახით, მოსწავლეები ადგენენ რუკას, რომელზეც ასახულია წყლის ხარისხი და წყლით გამოწვეული დაავადებების გავრცელების მაჩვენებლები, რომლებიც სკოლაში დასწრებას უკავშირდება; ამგვარად შედგენილი რუკა გამოიყენება როგორც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების ინსტრუმენტი. ამგვარი ადგილობრივი ცოდნა და ინოვაციური მიდგომა საჭიროებს ხელშეწყობასა და ლეგიტიმაციას.[xxiii]

ახალგაზრდა ქალების რეაგირება ბუნებრივ კატასტროფაზე გაიანაში

2005 წელს, გაიანაში, კოკისპირულ წვიმას წყალდიდობა მოჰყვა. ათასობით ადამიანი დარჩა საარსებოდ მნიშვნელოვანი მათი მარჩენალი პირუტყვის, საცხოვრებელი სახლებისა და პირადი ნივთების გარეშე. საზოგადოების საჭიროებების შეფასების შემდეგ, გაიანას ახალგაზრდა ქალების ქრისტიანული ასოციაციის (YWCA) წევრმა ახალგაზრდა ქალებმა წამოიწყეს პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა 100-ზე მეტი ოჯახის საკვებითა და შემოსავლით უზრუნველყოფას. მსოფლიოს ახალგაზრდა ქალების ქრისტიანული ასოციაციის (YWCA) მიერ მინიჭებული გრანტის დახმარებით, ქალებმა შეაკეთეს პირუტყვთა სადგომები, შეიძინეს ქათმები, იხვები და საკვები ადგილობრივი ოჯახებისათვის. „პროექტი დაეხმარა ახალგაზრდა ქალებს საკუთარი თვით-შეფასების ამაღლებაში“, აცხადებს გლინის ალონზო ბეატონი - გაიანას ახალგაზრდა ქალების ქრისტიანული ასოციაციის (YWCA) გენერალური მდივანი. „პროექტმა მისცა მათ სტიმული საკუთარი ძალები გამოეცადათ ახალი მიმართულებით და შიშის გარეშე ჩადგომოდნენ სათავეში მოვლენების მართვას. ეს ის აუცილებელი თვისებებია, რომლებიც ჩვენი მსოფლიოს მომავალ ლიდერებს ესოდენ ესაჭიროებათ.[xxiv]

კლიმატის ცვლილებისა და მდგრადობის კვლევის მეთოდები

ბავშვების მონაწილეობით კლიმატის ცვლილებისა და მდგრადობის კვლევის მეთოდები უნდა მოიცავდეს მთელ რიგ ვიზუალურ მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც ბავშვები წარმატებით გაართმევენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. აღნიშნული მეთოდები მოიცავს რუკის შედგენას, მოდელირებას, მიზნობრივ ექსკურსიებს და, ასევე, დაკვირვების მეთოდებს, რომლებიც ბავშვებისგან მითხოვს ზედმიწევნით ზუსტი ჩანაწერების წარმოებას შინ, საზოგადოებასთან და სკოლაში მუშაობის ფარგლებში. ბავშვების მონაწილეობით გარემოს კვლევაში ყველაზე ხშირად გამოყენებული მიდგომები მოიცავს შემდეგ მეთოდებს:

ა. რუკის შედგენა. რუკის შედგენა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდია, რომელიც ეხმარება ბავშვებს გააცნობიერონ, თუ როგორ არის შესაძლებელი მათი ფიზიკური გარემოს რეკონსტრუქცია. მცირეწლოვან ბავშვებსაც კი შეუძლიათ შეადგინონ რუკა, მცირეოდენი დახმარებისა და მხარდაჭერის საშუალებით. კლიმატის ცვლილებასთან, კატასტროფებისათვის მზადებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით, ბავშვებს შეუძლიათ შეადგინონ რუკები, რომლებზეც ასახული იქნება ადგილობრივად არსებული უსაფრთხო და სახიფათო ადგილები, უსაფრთხო ევაკუაციის მარშრუტი და ეკოლოგიური საფრთხეებისგან დაუცველი ადგილები, როგორიცაა ნარჩენების დაგროვების ადგილები, საფლობი ქვიშიანი ადგილები და ჭები. რუკებზე ასევე შეიძლება ასახული იყოს სათამაშოდ ვარგისი ადგილები და მონიშნული იქნას სხვადასხვა თამაშისთვის განკუთვნილი ადგილები.

© UNICEF/2007/Selim Iltus

სკოლის მოსწავლე გოგონები ამპარაში (შრი-ლანკა) ადგენენ რუკას, მათი სკოლის შემოგარენში უსაფრთხო და სახიფათო ადგილების იდენტიფიცირების მიზნით.

ბ. მიზნობრივი ექსკურსიები. ექსკურსიები საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ბავშვებისთვის გარემოსა და გარემოში არსებული ღირშესანიშნაობების გასაცნობად. ამგვარი ექსკურსიების ფარგლებში, ბავშვები ყურადღებას ამახვილებენ იმ ფაქტორებზე, რომლებიც მათი ხედვით მნიშვნელოვანია, ხოლო მათ გიდებს შეუძლიათ დაუსვან მათ კითხვები, რაც ბავშვებს საკითხის უფრო ნათლად გააზრებაში დაეხმარება. ამგვარი ექსკურსიების დროს ფოტოებისა და ვიდეოების გადაღება იძლევა ექსკურსიის შემდგომ მნიშვნელოვან საკითხებზე მსჯელობისა და სხვა ჯგუფებისთვის მიღებული გამოცდილებისა და შეძენილი ცოდნის გაზიარების საშუალებას. ბავშვები, როგორც წესი, ჩინებული ფოტოგრაფები და ოპერატორები არიან.

© UNICEF/2008/Selim Iltus

ინდონეზიაში, ექსკურსიის დროს, ბავშვები ათვალიერებენ გარემოსთვის საზიანო ადგილებს.

გ. დიზაინი თარგების გამოყენებით. ფიზიკურ დიზაინში ცვლილებების შეტანა ბავშვების მონაწილეობით საშუალებას აძლევს საზოგადოებას დააფასოს ბავშვების წვლილი გახორციელებულ ცვლილებებში. ბავშვები იყენებენ რუკას და მუყაოს თარგებს, ერთობლივი დიზაინის შექმნისთვის. პროექტი შესაძლებელია ემსახურებოდეს სკოლისთვის ახალი - ცალკე გოგონებისთვის და ცალკე ვაჟებისთვის განკუთვნილი - ტუალეტებისთვის ადგილის შერჩევას, სკოლის სათამაშო მოედნის რეკონსტრუქციას, რათა ყველა ბავშვს შეეძლოს მისით სარგებლობა.

დ. გარემოს მახასიათებლების გაზომვა და აღრიცხვა. გაზომვის, დაანგარიშებისა და დაკვირვების მეთოდებში მცირე მომზადების შემდეგ, ბავშვებს შეუძლიათ შეაგროვონ სანდო მონაცემები, რომლებიც გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროექტში შეიძლება იქნას გამოყენებული.

© UNICEF/2008/Selim Iltus

ბავშვები იღებენ სკოლის ფიზიკური მახასიათებლების ზომებს, მათი სკოლის შენობისა და მისი შემოგარენის მასშტაბური ნახაზის შედგენის მიზნით.

ე. ელემენტების შეფასება და ბარათების დახარისხება. ვაჟებსა და გოგონებს შეუძლიათ შეაფასონ გარემოს ხარისხი, მნიშვნელობის მიხედვით გარემოს მახასიათებლების დახარისხებით, ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობის შედეგად. ამ მიზნით შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, მარკერების ან სტიკერების გამოყენებით ბარათების დახარისხებით დაწყებული, დამთავრებული სხვა ჩვეულებრივი შეფასების მეთოდებით.

ვ. ნახატები წარწერებით. ბავშვებისთვის ნახატებით საკუთარი ხედვის გამოხატვის დავალება ერთდროულად საინტერესოც არის და სიფრთხილის გამოჩენასაც მოითხოვს. მოზრდილებს, როგორც წესი, არ შეუძლიათ ბავშვების ნახატების ზუსტი ინტერპრეტირება, მათი ავტორების დახმარების გარეშე. ბავშვებმა თავად უნდა ახსნან საკუთარი ნახატების შინაარსი და წარწერები გაუკეთონ მათ.

© UNICEF/2008/Selim Iltus

თურქეთის ერთ-ერთი სოფელი, რომელიც მეწყერის საფრთხის ქვეშ იმყოფება - ბავშვები ჯგუფში მუშაობენ და საკუთარი ნახატების საშუალებით აწარმოებენ სიტუაციის შეფასებას.

ზ. ფოკუს-ჯგუფები ბავშვების მონაწილეობით. ბავშვების ჩართვა პრობლემატურ საკითხებზე მსჯელობაში, მოცემულ კონტექსტში ისეთ საკითხებზე, რომელბიც უკავშირდება კლიმატის ცვლილებას, კატასტროფათა რისკებს, გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას, ბავშვებთან მუშაობის ერთ-ერთ გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს. სკოლის გარემო ბავშვების ფოკუს ჯგუფებში ჩართვისთვის მრავალ შესაძლებლობას იძლევა. ხშირად უფრო ეფექტურია სხვადასხვა ჯგუფებთან ცალკე შეხვედრა, მაგალითად, გოგონების, ბიჭების, მცირეწლოვანი ბავშვებისა და მოზარდების ჯგუფებთან.

© UNICEF/2008/Selim Iltus

სუდანში, ფოკუს ჯგუფის ფარგლებში, ბავშვები მსჯელობენ სკოლებში წყლის დეფიციტთან დაკავშირებულ პრობლემაზე და გონებრივი იერიშის საშუალებით ეძენებ პრობლემის გადაჭრის გზებს.

როგორ უზრუნველყოფს ბავშვზე ორიენტირებული სკოლები იმას, რომ გათვალისწინებული იქნას ბავშვთა მოსაზრებები და შეხედულებები

ბავშვზე ორიენტირებული სკოლები უნდა ითვალისწინებდნენ გოგონებისა და ვაჟების, განსაკუთრებით მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვების მოსაზრებებს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით. ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გამოიკვლიონ საკითხები და სხვებს გაუზიარონ საკუთარი აღმოჩენები და მოსაზრებები.

მთელ მსოფლიოში, ბავშვები უფრო და უფრო ერთვებიან საკუთარ საზოგადოებებში გარემოსდაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობაში და მკაფიოდ აჟღერებენ საკუთარ აღმოჩენებს. მაგალითად, ელ-სალვადორსა და ფილიპინებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვები სხვადასხვა დონეზე აქტიურად მონაწილეობდნენ ბავშვების ხელმძღვანელობით გახორციელებულ ღონისძიებებში, რომლებიც ემსახურებოდა კატასტროფათა რისკის შემცირებასა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას. ადგილობრივ დონეზე, ბავშვები გამოვიდნენ ინიციატივით, რომელიც გულისხმობდა კონკრეტული აქტივობების საშუალებით ცვლილებების გახორციელებას, მეწყერების თავიდან ასაცილებლად; კერძოდ, სკოლის შენობების თავზე ჩამოკიდებული დიდი ლოდების მოხსნას და ციცაბო ფერდობებზე ბუჩქების დარგვას, ნიადაგის გასამყარებლად. ბავშვებმა ასევე წამოიწყეს ცნობიერების ამაღლების კამპანია, რომელიც მიზნად ისახავდა უფროსი ასაკის წარმომადგენლების ქცევის შეცვლას, მაღალი რისკის მქონე შენობების იდენტიფიცირებას, მათი გამყარების გზების შემოთავაზებასა და კომუნალური ნარჩენების თავიდან მოშორების შესახებ ინფორმირებულობის ზრდას. ბავშვები გამოვიდნენ მნიშვნელოვანი ცვლილებების გახორციელების წინადადებით, რომლებიც კონკრეტული თემის საზღვრებს სცდებოდა, კერძოდ, ლობირებდნენ კანონის გამკაცრებას ტყეების უკანონოდ გაჩეხვისა და მდინარეების კალაპოტების თხრის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ სკოლებისა და გზების სტრუქტურაში ცვლილებების შეტანას.[xxv]

ბავშვები კლიმატის ცვლილებისა და კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ საკუთარი მოსაზრებების გაზიარებას ახერხებენ არაფორმალური არხებით, მაგალითად, მეგობრებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან და სხვა ახლობლებთან საუბრებისას, და ოფიციალური არხებით, როგორიცაა სკოლაში შექმნილი კომიტეტებსა და ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა შორის გამოცდილებისა და შეხედულებების ურთიერთგაზიარების ხელშესაწყობის საქმეში.

ფორმალური კომუნიკაციის არხები ბავშვზე ორიენტირებული სკოლების ყველაზე მძლავრ კომპონენტებს წარმოადგენს. კომუნიკაციისთვის გამოყენებული მეთოდები არ შემოიფარგლება მხოლოდ კონფერენციებით. ელ-სალვადორსა და ფილიპინებში ბავშვები იყენებდნენ მუსიკას, ქუჩის თეატრს, ვიდეოებს, ფოტოსურათებს, სადისკუსიო ფორუმებს, ქუჩის საპროტესტო აქციებსა და კედლის მხატვრობას, რათა კატასტროფათა რისკისა და მათთვის მზადყოფნის შესახებ საკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ საზოგადოებას.[xxvi]

კენიაში ბავშვებმა შეძლეს მკაფიოდ გამოეხატათ თავიანთი შეშფოთება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, სკოლის მიერ ინიცირებული ფორუმის საშუალებით. მათ განიხილეს შემდეგი საკითხები:

ა. წყალსა და სარწყავ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა;

ბ. არასაიმედო და არასტაბილური საარსებო წყაროები;

გ. ძალადობის რისკი, რომელიც კლიმატის ცვლილების შედეგად მათი უსაფრთხოების შემცირებას ახლავს თან;

დ. გარემოს შემდგომი დეგრადაციის შესაჩერებლად საჭირო ხმის ან ძალაუფლების ნაკლებობა.[xxvii]

ბავშვების მიერ სკოლის ფარგლებში წარმოებული კვლევა და მათი მონაწილეობა კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილებასა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციასთან დაკავშირებულ ძალისხმევაში არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ადგილობრივად გატარებული ღონისძიებებითა და კომუნიკაციით, მათ საკუთარი წვლილი უნდა შეიტანონ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ამ მიმართულებით საჭირო პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებაში.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) გარემოსდაცვისა და კლიმატის ცვლილებასთან გამკლავების საქმეში მონაწილე ახალგაზრდა ელჩები, მაგალითად, ერთიანდებიან მსოფლიო მასშტაბითა და ქმნიან ადგილობრივ ჯგუფებს, მსჯელობენ კლიმატის ცვლილების საკითხებზე და ეძებენ მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზებს. რამდენიმე ახალგაზრდა ელჩი აქტიურად მონაწილეობდა, 2009 და 2010 წლებში, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეების მონაწილეობით გამართულ კონფერენციებში.

სამწუხაროდ, ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს ასეთი ინიციატივები. ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ იყენებენ ბავშვთა უფლებების ჩარჩოს, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავების საქმეში, და ბავშვების მონაწილეობა კლიმატის ცვლილების შესახებ გამართულ დებატებში, საუკეთესო შემთხვევაში, ნომინალურ ნიშნულზე რჩება.

მასწავლებელთა განათლება

მასწავლებელთა ეფექტური მომზადება კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვითი განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებში, მინიმუმ, საჭიროებს მასწავლებელთა პირველდაწყებით მომზადებას. თუმცა, მასწავლებელთა მხოლოდ პირველდაწყებითი მომზადება საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მათ შეძლონ ცხოვრებისათვის საჭირო უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლების მიწოდება. საუკეთესო შემთხვევაში, მასწავლებლებმა უნდა მიიღონ უწყვეტი განათლება და ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ პროფესიული განვითარების შესაძლებლობებით, სამუშაო ადგილზე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გამართული ტრენინგებისა და მასწავლებელთა რესურსცენტრების მიერ ორგანიზებული პროგრამების მეშვეობით, რომლებიც ემსახურება მასწავლებლების მომზადებას კლიმატის ცვლილებასთან, გარემოს დაცვასა და ცხოვრებისეულ უნარებზე დაფუძნებულ სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

მასწავლებლებს შორის ცოდნისა და გაგების ნაკლებობა რჩება იმ ძირითად ბარიერად, რომელიც ხელს უშლის სკოლებში ბავშვზე და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამის დანერგვას. უფრო მტკიცე ინტერდისციპლინარული კავშირები ისეთ დაინტერესებულ მხარეებთან, როგორიცაა მკვლევარები, პედაგოგები, არასამთავრობო ორგანიზაციები და საჯარო მოხელეები, ამ ბარიერის მოხსნაში დაგვეხმარება.

მასწავლებელთა განათლება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული, ეკოლოგიური და სოციალური საკითხების შესახებ არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ინსტრუმენტებითა და გზავნილებით. იგი ასევე უნდა მოიცავდეს გარემოს შესახებ არსებულ მსოფლმხედველობას. ასევე დამტკიცებულია ქმედებებზე დაფუძნებული კვლევითი მიდგომების ეფექტურობა გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით. და ბოლოს, კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლება და გარემოსდაცვითი განათლება უნდა იყოს ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული და კულტურის თვალსაზრისით შესაბამისი, და უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებს. აღნიშნული მიმართულებით განათლება უნდა ეყრდნობოდეს ადგილობრივ საჭიროებებსა და გლობალურ პრობლემებს შორის წონასწორობის დაცვას.

იქ, სადაც სკოლებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერი და ინტერნეტი, ტექნოლოგიები ხელს უწყობს მასწავლებელთა მომზადებას. დისტანციური სწავლება უკვე გავრცელებულ მიდგომას წარმოადგენს. კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით მასწავლებელთა ტრენინგთან ერთად, დისტანციური სწავლება მასწავლებლებს საშუალებას აძლევს განავითარონ საკუთარი უნარები და გააუმჯობესონ ცოდნა, ძირითადი სამუშაოდან მოწყვეტის გარეშე. მასწავლებლები იღებენ ცოდნას, სკოლებში გაკვეთილების ჩატარების პარალელურად, რაც ეკონომიკური თვალსაზრისით სარგებლის მომტანია.

მასწავლებლებისა და მოსწავლეების წვდომა ახალ ტექნოლოგიებზე საშუალებას აძლევს განვითარებადი ქვეყნების სკოლებს უშუალო კავშირი დაამყარონ განვითარებული ქვეყნების სკოლებთან, კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვითი განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობის მიზნით. კლიმატის ცვლილების შედეგების შერბილებისა და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის საკითხებზე მსჯელობა, განვითარებადი და განვითარებული ქვეყნების წარმომადგენელი ბავშვებისა და სკოლების მონაწილეობით, დიდი ალბათობით, საინტერესო იდეებს წარმოშობს და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ამ საკითხებზე განათლებასა და ცოდნის გაღრმავებას.

გარემოსდაცვის მიმართულებით სწავლისა და დაკვირვების გლობალური ინიციატივა ამ მიდგომის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.[xxviii] სკოლებში, ამინდისა და გარემოსდაცვითი მონაცემების შეგროვების საქმეში დაწყებითი და საშუალო საფეხურის მოსწავლეების ჩართვის მიმართულებით მასწავლებლების მომზადების საშუალებით, აღნიშნული ინიციატივა უზრუნველყოფს კავშირს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ ბავშვებსა და სკოლებს შორის, რაც ხელს უწყობს დედამიწის შესახებ კველვაში მათ ჩართვას. პროგრამა მოსწავლეებს უნერგავს გარემოს დაცვის მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის განცდას და საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართულებით მათი ცოდნის გაღრმავებას უწყობს ხელს.

მასწავლებელთა კომპეტენციები მდგრადი განვითარებისათვის განათლების მიმართულებით

მასწავლებელთა კომპეტენციები მდგრადი განვითარებისათვის განათლების მიმართულებით მოიცავს შემდეგს:

ა. ჰოლისტიკური მიდგომა, რომელიც ემსახურება აზროვნებისა და პრაქტიკის ინტეგრირებას;

ბ. ცვლილებების წარმოსახვისა და წინასწარ განჭვრეტის უნარი, ალტერნატიული მომავალის გაანალიზების უნარი, წარსულის გამოცდილებიდან სწავლისა და აწმყოში მიმდინარე მოვლენებში ჩართვის უნარი;

გ. ტრანსფორმაციის უნარი, სწავლის სისტემებსა და სწავლის გზებში ცვლილებების შეტანის უნარი.

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციისადმი (UNESCO) განათლების საერთაშორისო კომისიის მიერ წარდგენილ მოხსენებაში მოცემულია დაჯგუფებული კომპეტენციები:

ა. „სწავლა ცოდნის შეძენის მიზნით“ გულისხმობს საზოგადოების წინაშე არსებული ადგილობრივი და გლობალური გამოწვევების გააზრებას და მასწავლებლებისა და მოსწავლეების პოტენციური როლის გააზრებას („მასწავლებელს ესმის")

ბ. „სწავლა მოქმედებისთვის“ გულისხმობს პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და მოქმედებისათვის საჭირო კომპეტენციების განვითარებას, მდგრადი განვითარებისათვის განათლებასთან დაკავშირებით („მასწავლებელს შეუძლია…")

გ. „სწავლა თანაცხოვრებისათვის“ გულისხმობს პარტნიორობის დამყარებასა და ურთიერთდამოკიდებულების, პლურალიზმის, ურთიერთგაგებისა და მშვიდობის დაფასებას („მასწავლებელი სხვებთან ერთად მუშაობს ისე, რომ...")

დ. „სწავლა ყოფისთვის" გულისხმობს დამოუკიდებლად, განსჯის საფუძველზე და პასუხისმგებლობით მოქმედების უნარის განვითარებას, მდგრად განვითარებასთან მიმართებაში („მასწავლებელი არის ადამიანი, ვინც…")

მომზადებულია გაეროს ეკონომიკური კომისიის ევროპის ექსპერტთა ჯგუფის მიერ (UNECE, 2011, ECE/CEP/AC.13/2011/5)

4

სკოლა, როგორც დამცავი გარემო

ის თუ რამდენად უზრუნველყოფს სკოლა ბავშვების ფიზიკურ და სოციალურ დაცვას განსაზღვრავს ბავშვზე ორიენტირებულია თუ არა იგი, რაც არსებითად უკავშირდება ყველა სხვა დანარჩენ პრინციპს. როგორც დამცავი გარემო, სკოლის შენობა და მასთან დაკავშირებული სხვა სტრუქტურები უნდა დაპროექტდეს და აშენდეს უსაფრთხოების მაქსიმალური გარანტიით. სეისმური საფრთხეებისა და სტიქიური მოვლენების ფონზე, რომლებიც შესაძლოა გამოწვეული იყოს კლიმატის ცვლილებით, სკოლებში ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა უპირველესი მნიშვნელობის არის. მსოფლიო მასშტაბით, 875 მილიონი მოსწავლე ცხოვრობს სეისმურად მაღალი რისკის ზონებში და ასობით მილიონი ადამიანი რეგულარულად დგას წყალდიდობების, მეწყრების, ქარიშხლებისა და ხანძრების უკიდურესი საფრთხეების წინაშე, მსგავსი ბუნებრივი მოვლენების რაოდენობა კი მსოფლიოში დღითი დღე იზრდება.[xxix]

სამწუხაროდ, სკოლების დიდი რაოდენობა არ არის გათვლილი იმაზე, რომ გაუძლოს სტიქიურ მოვლენებს. ხარისხიანი სკოლის მოდელი ამ პრობლემის მოგვარებას ემსახურება. სკოლების დამცავი ფუნქციისათვის პრიორიტეტის მინიჭებით, ბავშვზე ორიენტირებული სკოლების ინიციატივა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სკოლებში უსაფრთხოების მიმართულებით არსებულ მდგომარეობას. აუცილებელია ზოგიერთი სკოლის შემთხვევაში განსაკუთრებული ვითარების აღიარება - მაგალითად, მათი მდებარეობა მეწყერსაშიშ ზონებში. სახიფათო გარემო

არ ამართლებს ბავშვებისთვის საფრთხის შეექმნას. იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი იყოს უსაფრთხო, დაცული სკოლის გარემო, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, წარმოადგენს ბავშვზე ორიენტირებული სკოლების მიდგომის ძირითად დანიშნულებას.

კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლება და გარემოსდაცვითი განათლება და კატასტროფისთვის მზადყოფნა

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია უშუალოდ უკავშირდება კატასტროფათა რისკის შემცირების გლობალურ ძალისხმევასა და ვალდებულებას, რომელიც ჩამოყალიბებულია ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოში (2005 - 2015). სკოლის დონეზე, კატასტროფათა რისკის შემცირება და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია ფაქტობრივად ერთად მოიაზრება. განათლების სექტორმა უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ ამინდთან დაკავშირებულ კატასტროფათა რისკები, რომლებიც კლიმატის ცვლილებასთან ერთად გამწვავდება, არამედ გარემოსთან დაკავშირებული სხვა რისკებიც, როგორიცაა სეისმური და ვულკანური აქტივობა.

სკოლის შენობისა და მასთან დაკავშირებული სტრუქტურების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა იწყება შეფასებითა და ცნობიერების ამაღლებით. ბავშვებმა, სკოლის საზოგადოებამ და ფართო საზოგადოებამ უნდა დასვან კითხვები: რამდენად უსაფრთხოა სკოლა? რა რისკები არსებობს? იციან თუ არა ბავშვებმა, მასწავლებლებმა და საზოგადოების წარმომადგენლებმა ამ რისკების შესახებ? ზოგი ჯგუფი უფრო დაუცველია, ვიდრე სხვები? როგორ არის შესაძლებელი გამძლეობის გაუმჯობესება?

მას შემდეგ რაც გაეცემა პასუხი ამ და რიგ სხვა (შესაძლოა უფრო ტექნიკური ხასიათის) კითხვებს, სკოლებს შეუძლიათ შეუდგნენ პრობლემების მოგვარებას სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, რომელთა ეფექტურობაც დადასტურებულია. აღნიშნული სტრატეგიები მოიცავს შემდეგს:

ა. კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებული თემების ინტეგრირება ოფიციალურ სასწავლო პროგრამებში;

ბ. მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრატორების მომზადება კატასტროფის რისკის შემცირების საკითხებში;

გ. საგანგებო სიტუაციებისათვის მზადყოფნისა და ევაკუაციის გეგმების შექმნა;

დ. კატასტროფების მართვის კომიტეტების შექმნა სკოლებში;

ე. სკოლის შენობების სტრუქტურული მთლიანობისა და უსაფრთხოების შეფასება;

ვ. ადრეული გაფრთხილების სისტემების იდენტიფიცირება და მათი ადაპტირება ადგილობრივ საჭიროებებზე მორგების მიზნით;

ზ. წვრთნების ჩატარება უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

ბავშვზე ორიენტირებული სკოლები, როგორც საზოგაოდების არსებითი ნაწილი, მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს კატასტროფათა რისკის მართვის ადგილობრივ ძალისხმევაში. ყველა საზოგადოებას უნდა ჰქონდეს ადგილობრივი რისკების შეფასებისა და საჭირო ზომების მიღების უფლება და შესაძლებლობა.[xxx] კატასტროფათა რისკის ადგილობრივად მართვის მიმართულებით ეფექტური ღონისძიებების ინიცირება წარმოებს ადგილობრივ დონეზე, რაც ამ მიმართულებით

ბავშვზე ორიენტირებულ სკოლებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს. კატასტროფის რისკის მართვის თემების ჩართვა შესაძლებელია დაწყებითი და საშუალო საფეხურების სასწავლო პროგრამებში, მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში, სასკოლო სახელმძღვანელოებსა და საგანგებო წვრთნებში.[xxxi]

ბავშვების, საზოგადოების წევრებისა და ექსპერტების მონაწილეობა აუცილებელია კატასტროფებისთვის მზადებაში. ხშირ შემთხვევაში, სასარგებლოა მშენებლობის, ადრეული გაფრთხილებისა და მსგავს საკითხებში ადგილობრივი გამოცდილების გათვალისწინება. ბავშვების ცოდნა ფიზიკური გარემოს შესახებ ძალზე ღირებული რესურსია. თამაშისა და სახლიდან სკოლაში და სკოლიდან სახლში მგზავრობისას ბავშვები ეცნობიან საზოგადოების უმრავლესი წევრებისათვის უცნობ ადგილებს და, შესაბამისად, ისინი მარტივად ახდენენ უსაფრთხო და საფრთხის შემცველი ადგილების იდენტიფიცირებას. აღნიშნული ინფორმაცია და ცოდნა გათვალისწინებული უნდა იყოს კატასტროფის მართვის გეგმების შემუშავებისას. ბავშვების მონაწილეობა ევაკუაციის მარშრუტების შემუშავებაში ფასდაუდებელია, რისი დასტურიც არის ტაილანდის სასწავლო პროგრამაში ინტეგრირებული კატასტროფების რისკის შემცირების შესახებ განათლება, რომელიც ღონისძიებათა ბავშვების ხელმძღვანელობით წარმართვას ითვალისწინებს.[xxxii] ამგვარი სასწავლო პროგრამები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს პრობლემები გადაჭრან ადგილობრივად არსებული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე.

ზოგიერთ შემთხვევაში, დროებითი სიფრთხილის ზომები, როგორიცაა მაგალითად, სკოლის შენობების გამაგრება, არასაკმარისია. ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, უფრო მკაცრი ზომები უნდა იქნას მიღებული. მაგალითად, ფილიპინებში სან-ფრანცისკოს მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებმა მოსწავლეებმა შეიტყვეს, რომ მათი სკოლის შენობა მეწყერების რისკის ქვეშ იმყოფებოდა. მათ იმსჯელეს მასზედ, თუ რამდენად იყო შესაძლებელი სკოლის სხვა ტერიტორიაზე გადატანა. დირექტორმა გამოაცხადა რეფერენდუმი, აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. მოსწავლეები სკოლის სხვა ტერიტორიაზე გადატანის მომხრე იყვნენ, ხოლო მშობლები აპროტესტებდნენ ამ ღონისძიებასთან დაკავშირებული მგზავრობის დროის გაზრდას, ხოლო ადგილობრივი ბიზნეს სუბიექტები - სკოლის სასადილოსთვის პროდუქტების მიწოდებით მიღებული შემოსავლების კარგვას. სკოლის ბაზაზე არსებულმა მოსწავლეთა ორგანიზაციებმა ჩაატარეს საგანმანათლებლო კამპანია და სკოლის სხვა ტერიტორიაზე გადატანის თაობაზე მათმა წინადადებამ გამარჯვება მოიპოვა. მოსწავლეებმა მათი სკოლის დროებითი ადგილსამყოფლის გარშემო გათხარეს სანგრები და მშობლების დახმარებით დადგეს კარვები. მოსწავლეები ახლა ველოსიპედით დადიან მათ ახალ მუდმივ სკოლაში, რომლის შენობაც ისე არის დაპროექტებული, რომ უძლებს მიწისძვრას და საგანგებო სიტუაციაში შესაძლებელია თავშესაფრად იყოს გამოყენებული.[xxxiii]

© UNICEF/NYHQ2011-1591/Bell

მთავარი ეკოლოგიური გამოწვევა: სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა და ჰიგიენა

სკოლის შენობა არ წარმოადგენს ფიზიკურ სტრუქტურას, რომელიც სკოლაში მხოლოდ უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება. მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნების სკოლებში ბევრი ბავშვი დგას წყლით გამოწვეული დაავადებებისა და დიარეის საფრთხის წინაშე, არასაკმარისი და არაუსაფრთხო სანიტარული პირობების გამო. მიუხედავად იმისა, რომ საფრთხე ყველა ბავშვს ემუქრება, გოგონები უფრო მაღალი საფრთხის წინაშე დგანან, ვიდრე ვაჟები. აღნიშნულ საკითხზე დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ბავშვზე ორიენტირებული სკოლების სახელმძღვანელოში შესული შესაბამისი მოდული.

საველე დღიური: სკოლის ტუალეტები სუდანში

წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორი საველე ვიზიტით იმყოფებოდა სამხრეთ სუდანში, რომლის დროსაც გაირკვა, რომ ზოგიერთ სკოლაში მოსწავლეები ხშირად არ სარგებლობდნენ სკოლის ტუალეტით. როგორც აღმოჩნდა, ძირითადი მიზეზი მათ კულტურას უკავშირდება; ტუალეტით სარგებლობა ძალზე პირადულ სფეროს განეკუთვნება და ბავშვები, განსაკუთრებით გოგონები, უხერხულად გრძნობენ თავს თუ მათ ვინმე დაინახავს ტუალეტისკენ მიმავალს ან ტუალეტიდან მომავალს.

ავტორის მიერ მონახულებულ სკოლებში, ტუალეტისთვის განკუთვნილი შენობები სკოლის შენობიდან და სკოლის ეზოს უმეტესი ნაწილიდან კარგად ხილულ ტერიტორიაზეა განთავსებული. შედეგად, ბავშვების უმეტესობას ურჩევნია ბუჩქებს მიღმა დაიკმაყოფილონ ბუნებრივი მოთხოვნილება, ვიდრე ტუალეტით ისარგებლონ. ეს პრობლემა გოგოებს შორის მეტად არის გამოხატული, ვიდრე ვაჟებს შორის, რაც სერიოზულ კითხვებს აჩენს ინკლუზიურობასთან დაკავშირებით. ზოგიერთმა გოგონამ განაცხადა, რომ ურჩევნოდათ კრიტიკულ დღეებში სკოლაში არ მოსულიყვნენ, რადგან თავს უხერხულად გრძნობდნენ ტუალეტით სარგებლობის დროს.

შირმების გამოყენება ან სხვა მარტივი ფიზიკური ცვლილებების შეტანა ტუალეტებით სარგებლობის საშუალებას მისცემს მოსწავლეებს. აღნიშნული წარმოადგენს იმის მაგალითს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ბავშვების მონაწილეობა სკოლის ფიზიკური გარემოს შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.[xxxiv]

5

კლიმატის ცვლილება და გარემოსდაცვითი განათლება სკოლის ტერიტორიაზე

სკოლის შენობა და სკოლის მოედანი გამოყენებული უნდა იქნას როგორც ფიზიკური გარემოსადმი ბავშვის კეთილგანწყობის გამომუშავების ლაბორატორია, ბავშვზე ორიენტირებული სკოლების ისეთი ძირითადი პრინციპების დანერგვის პარალელურად, როგორიცაა ინკლუზიურობისა და მონაწილეობის უზრუნველყოფა. სკოლაში გახორციელებული გარემოსდაცვითი პროექტები, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვების სრულფასოვან მონაწილეობას, საუკეთესო დასაწყისია აღნიშნული მიზნის გახორციელების გზაზე. თუმცა, სკოლების უმეტესობაში, დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკის დამკვიდრება მარტივი არ არის. ბავშვზე ორიენტირებული სკოლები შეიძლება გამოვიდნენ ყველა მოსწავლის უშუალო მონაწილეობისა ან დემოკრატიული გზით მოსწავლეთა წარმომადგენლებისათვის ხმის მიცემის სისტემის შემოღების ინიციატივით. გადაწყვეტილების მიღების ჭეშმარიტად დემოკრატიული პროცესი უნდა ითვალისწინებდეს სკოლაში არსებული უმცირესობების ჯგუფების შეხედულებებსა და უზრუნველყოფდეს მათ სრულფასოვან მონაწილეობას. უმეტეს შემთხვევაში, სასურველია უფროსი ასაკის დაინტერესებული პირების მონაწილეობა, როგორიცაა მშობლები და მასწავლებლები. თუმცა მათმა შეხედულებებმა და მოსაზრებებმა არ უნდა დაჩრდილოს და გადაფაროს ბავშვების შეხედულებები და მოსაზრებები.

© UNICEF/NYHQ2008-0831/Isaac

შესაძლებელია სკოლის შენობებისა და მოედნების ისე დაპროექტება და მოწყობა, რომ ისინი ბავშვების საჭიროებებზე მორგებული, უსაფრთხო და მდგრადი იყოს. ამისთვის საჭიროა, მაგალითად, ხეების დარგვა სკოლის ტერიტორიაზე, მზის ენერგიაზე მომუშავე წყლის ტუმბოს დამონტაჟება, წვიმის წყლის შეგროვება, ქარის ტუმბოების დამონტაჟება, ნარჩენების მართვის პროექტების დანერგვა და სასკოლო მოედნების კეთილმოწყობა.

ზოგიერთი პროექტი საჭიროებს ბავშვების მონაწილეობას არა მხოლოდ სისტემების შემუშავებისა და მონტაჟის დროს, არამედ მათი ხანგრძლივად შენარჩუნებისა და მათზე ზრუნვის პროცესში. ამგვარი პროექტების კარგ მაგალითს წარმოადგენს მიანმარის სკოლებში წვიმის წყლის შეგროვებასთან დაკავშირებული პროექტები. პროექტების დაწყებამდე, სკოლა იშვიათად იყენებდა წვიმის წყალს სასმელად, ნაცვლად სასმელი წყლის ტრანსპორტირება შორი მანძილიდან წარმოებდა. ამჟამად წარმოებს სკოლის შენობის გალვანური მეტალისგან დამზადებული გოფრირებული სახურავიდან წვიმის წყლის სპეციალური ავზებში შეგროვება. სისტემა მოითხოვს სისტემატურ მომსახურებას, გაწმენდასა და შეკეთებას, რასაც ერთობლივად ახორციელებენ მოსწავლეები, მათი მშობლები და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. აღნიშნული სისტემა ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს უფროსი ასაკის დაინტერესებულ პირებთან ერთად სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღონ სისტემის შენარჩუნების ძალისხმევაში.

მხოლოდ ამგვარი ინიციატივებიც კი სკოლას ბავშვისადმი კეთილგანწყობილ გარემოდ აქცევს, თუმცა, სკოლა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ბავშვზე ორიენტირებული სკოლების ძირითად პრინციპებს, მათ შორის სამართლიანობისა და თანასწორობის პრონციპებს. ხშირ შემთხვევაში, უფროსი ასაკის პირები ხელმძღვანელობენ ჯგუფურ საქმიანობას, როგორიცაა ხეების დარგვა, ბავშვების ინდივიდუალობისა და მათი ინიციატივის გათვალისწინების გარეშე. ამგვარი პრაქტიკა ეწინააღმდეგება ბავშვის უფლებების კონვენციას, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ინდივიდუალურ ავტონომიას, ნაცვლად იმ მიდგომისა, რომელიც ‘ყველას ერთი საზომით გაზომვას გულისხმობს.[xxxv]

ბაღები სკოლის ტერიტორიაზე

სკოლის ტერიტორიაზე გაშენებული ბაღების საშუალებით მარტივად და ეფექტურად არის შესაძლებელი ბავშვების ჩართვა გარემოსდაცვით განათლებაში და როგორც მათი, ასევე მათი ოჯახის წევრების ჯანსაღ კვებაზე ზრუნვა.[xxxvi] ბევრ სკოლაში მცენარეების მოსაშენებლად შესაფერისი გარე სივრცეები არასაკმარისად არის გამოყენებული. ბაღების გაშენება შესაძლებელია გამოუსადეგარ მანქანის საბურავებშიც.

გარდა იმისა, რომ სკოლის შემოგარენში გაშენებულ ბაღებს საგანმანათლებლო ღირებულება გააჩნია, განვითარებად ქვეყნებში, ღარიბ დასახლებებში, ბაღებს შეუძლიათ ბავშვები უზრუნველყონ საჭირო საკვებით. მაგალითად, სამხრეთ სუდანში, სადაც ბევრი ბავშვი დღეში მხოლოდ ერთჯერადად იკვებება, სოფლის მეურნეობის ადგილობრივი კონსულტანტი დაეხმარა სკოლას ბაღის გაშენებაში, რომლისგან მიღებული მოსავალიც ბავშვების გამოკვებას ხმარდება.

სკოლის ბაღებში მოსწავლეები ეუფლებიან მებაღეობას და იგივე ბაღების საშუალებით უზრუნველყოფილია სურსათის უსაფრთხოება. სკოლის ბაღების საშუალებით მოსწავლეები ასევე ეუფლებიან ეკოლოგიის პრინციპებს, იღებენ ინფორმაციას საკვების წარმოშობის შესახებ და სწავლობენ ყველა ცოცხალი სისტემისადმი პატივისცემით მოპყრობას. ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკის პრინციპების თანახმად, ბაღები უკავშირდება სკოლის დანარჩენ სასწავლო

პროგრამებს, ლიტერატურიდან დაწყებული მათემატიკითა და მეცნიერებებით დამთავრებული. მაგალითები მოიცავს ბაღის ნაკვეთების ფართობის გამოთვლას, ბაღების დაპროექტებასა და გაშენებას (მათემატიკა და გეომეტრია) და ბაღების გამოყენებას ბუნების შესახებ კითხვისა და წერის შთაგონების წყაროდ (ლიტერატურა, შემოქმედებითი წერა). აღნიშნული ღონისძიებები ასევე აძლიერებს ღირებულებებს, როგორიცაა თანამშრომლობა და ბუნებისა და ერთმანეთისადმი პატივისცემა.

სკოლის ბაღებთან დაკავშირებულ საქმიანობაში შესაძლებელია საზოგადოების წარმომადგენელთა ეფექტური ჩართვაც. მაგალითად, საზოგადოების წევრებს, რომლებსაც გამოცდილება გააჩნიათ სოფლის მეურნეობის სფეროში, შეუძლიათ დაეხმარონ ბავშვებს მებაღეობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. არსებობს მწვანე სკოლის ეზოებსა და მოსწავლეთა ჯანმრთელობას შორის პოზიტიური კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სკოლების კლასტერული მიდგომა: სკოლებს შორის ორგანული კავშირის ეფექტიანობა

გეოგრაფიულად ახლომდებარე სკოლებს შორის კავშირს სარგებელი მოაქვს, რაც დოკუმენტებით დასტურდება. პროფესიული მიმართულებით წარმოებული საგანმანათლებლო საქმიანობა, როგორიცაა მასწავლებელთა მომზადება და სასწავლო პროგრამების შემუშავება, უფრო ეფექტურია, როდესაც ერთობლივად რამდენიმე სკოლის მიერ ხორციელდება. დაწყებით სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს შორის კავშირი ხელს უწყობს ბავშვების საბაზო განათლების საფეხურზე გადასვლას. კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით, კლასტერულ მიდგომას რიგი უპირატესობები გააჩნია.

სკოლების კლასტერული მიდგომა ხელს უწყობს რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენებას. უმეტეს ადგილებში, გარემოსდაცვითი პროექტები და კლიმატის შესახებ განათლება შეიძლება სხვადასხვაგვარად განხორციელდეს, თუმცა ცალკეულ სკოლებს იშვიათად შეუძლია ერთდროულად რამდენიმეზე მეტი პროექტის განხორციელება. სკოლის კლასტერული მიდგომა მრავალფეროვნების უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა. სკოლებს შეუძლიათ სხვადასხვა პროექტებისა და მდიდარი გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარება და ამ პროექტებში ყველა ბავშვის ჩართვა. მაგალითად, კასეტური რესურსცენტრი სკოლებს უზრუნველყოფს კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციასა და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული პროექტების განხორციელების ეფექტური გზებით. ბავშვები შესაბამისი რესურსების მქონე ცენტრებში იღებენ გარემოსდაცვასთან დაკავშირებულ მრავალფეროვან გამოცდილებას. ცენტრები ასევე მასწავლებლებს უზრუნველყოფს საინტერესო და ეფექტური ტრენინგ-პროგრამებით.

სკოლების კლასტერული მიდგომა ხელს უწყობს გარემოსდაცვითი პროექტების მასშტაბებისა და ხელმისაწვდომობის ზრდას საზოგადოების დონეზე. რაც არ უნდა წარმატებული იყოს ერთი სკოლა, მისი გავლენა ფართო არ იქნება. კატასტროფისთვის მზადყოფნა არის კლასტერული მიდგომის სინერგიის კარგი მაგალითი. როდესაც სკოლები ერთობლივად უწევენ კოორდინაციას ძალისხმევას საზოგადოების დონეზე კატასტროფისთვის მზადებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავების მიმართულებით, მათი დადებითი გავლენა სწრაფად იზრდება.

მაგალითი პრაქტიკიდან: ეთიოპია - სკოლების კლასტერული მიდგომა კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლებისადმი

ეთიოპიაში კლასტერული მიდგომა ძირითადად გამოიყენება 1-დან მე-4 კლასის მოსწავლეების განათლებაში. ხუთი წლის განმავლობაში, აღნიშნული მიდგომის გამოყენებით გახორციელდა 10 000-ზე მეტი მასწავლებლის მომზადება ბავშვზე ორიენტირებული და მონაწილეობითი სწავლების მიმართულებით, მათ შორის გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით. სკოლების კლასტერულმა მიდგომამ ხელი შეუწყო:

ა. მასწავლებელთა მომზადებას, მასწავლებელთა გუნდის მიერ;

ბ. კლასტერული რესურს ცენტრის დაარსებას;

გ. ბავშვზე ორიენტირებული, ინტეგრირებული გაკვეთილის გეგმების შექმნას;

დ. გენდერული საკითხების ყურადღების ცენტრში მოქცევას;

ე. გამამხნევებელი საკლასო გარემოს შექმნას და ნაკლებხარჯიანი და ინოვაციური სასწავლო მასალების შემუშავებას.

სკოლებში, კლასტერული მიდგომა, ბავშვებისათვის, მასწავლებლებისა და ზოგადად სწავლის პროცესისათვის პოზიტიური შედეგების გარდა, ახალისებს ადგილობრივ ინოვაციებსა და საზოგადოების მეტ ჩართულობას უზრუნველყოფს განათლების პროცესებში, რაც სკოლების მხარდაჭერის გარანტიაა.[xxxvii] ამგვარი მიდგომით, კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლება და გარემოსდაცვითი განათლება უფრო მარტივად შეიძლება იქნას ჩართული მასწავლებელთა მომზადებასა და განათლების დაგეგმვის პროცესებში.

6

სკოლა და საზოგადოება

ბავშვზე ორიენტირებული სკოლები ეფექტური მხოლოდ იმ შემთხვევაშია, თუ ისინი საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. არც ერთ სკოლას არ შეუძლია და არც ერთმა სკოლამ არ უნდა იფუნქციონიროს იმ საზოგადოებისგან დამოუკიდებლად, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს. გარდა იმისა, რომ აღნიშნული პრინციპი ფართოდ არის მიღებული, იგი განსაკუთრებით ესადაგება კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების ჩარჩოს.

უფროსი ასაკის პირთა უმეტესობას კარგად აქვს გაცნობიერებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სკოლასთან თანამშრომლობა გარემოსდაცვით საკითხებში. კლიმატის ცვლილების შედეგები საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ბავშვების არამედ მოზრდილების უსაფრთხოებასა და საარსებო წყაროებს.

ამ თვალსაზრისით, მშობლებისა და უფროსი ასაკის სხვა პირების მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ბავშვების განათლებით. თუმცა, სკოლას აკისრია უპირველესი პასუხისმგებლობა ამ ურთიერთობის ხელშეწყობის მიმართულებით და სკოლამ პროაქტიულად უნდა უზრუნველყოს საზოგადოებასთან მისი კავშირის განვითარება და გამყარება. მაგალითად, მშობელთა და მასწავლებელთა შორის ეფექტური კავშირის დამყარება საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის ერთ–ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად რჩება.

საზოგადოება, როგორც სკოლების რესურსი

ნებისმიერ საზოგადოებას, თუნდაც უღარიბესს, გააჩნია აუთვისებელი რესურსების დიდი რაოდენობა, რომლებსაც შეუძლია დიდი სარგებელი მოუტანოს სკოლებს. ხშირად ამგვარ რესურსებს განეკუთვნებიან ინდივიდუალური მოქალაქეები - ქალები და მამაკაცები, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა ხარისხის გამოცდილება, რომელიც ბავშვზე ორიენტირებულ განათლებას უკავშირდება. ესინი შეიძლება იყვნენ ხელოსნები, ფერმერები, მაღაზიათა მფლობელები ან სხვა პირები, რომლებსაც შეუძლიათ ბავშვებისათვის საკუთარი გამოცდილების გაზიარება. მაგალითად, უფროსი ასაკის პირებსა და სხვა ბავშვებს, რომლებიც გადაურჩნენ სტიქიურ უბედურებებს, შეუძლიათ მოსწავლეებს უამბონ რა გადახდათ თავს და განიხილონ მათთან სტიქიური უბედურებების შემთხვევაში თავის გადარჩენის სტრატეგიები, რათა მოსწავლეები მზად იყვნენ მსგავსი მოვლენებისათვის მომავალში. საზოგადოების უხუცესი წარმომადგენლები ასევე ფლობენ უამრავ ცოდნასა და გამოცდილებას, რომლებიც ადგილობრივ გარემოს უკავშირდება და რომლის გაზიარებაც მათ შეუძლიათ მოსწავლეებისათვის.

კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციასა და ადგილობრივ გარემოსდაცვით საკითხებთან შესაბამისი საზოგადოებრივი რესურსების იდენტიფიცირება შეიძლება დაიწყოს ბავშვებთან ისეთი აქტივობით, როგორიცაა ადგილობრივი რესურსების რუკის შედგენა. რუკების შედგენის აქტივობის დროს, ბავშვები ადგენენ კლიმატის ცვლილებასა და გარემოსდაცვასთან დაკავშირებული ადგილობრივად არსებული ყველა რესურსის ჩამონათვალს და შესაბამის რუკებს. ჩამონათვალი შესაძლებელია მოიცავდეს ადამიანებს, რომლებსაც ისინი იცნობენ, ადგილებს, სადაც ისინი დადიან, საგნებს, რომლებსაც აკვირდებიან, ან უბრალოდ ინფორმაციასა და მონაცემებს, რომლებსაც ისინი იღებენ საკუთარი მშობლებისა და ოჯახის წევრებისათვის დასმული კითხვების პასუხად. ბავშვებს ეს ინფორმაცია გადააქვთ რუკებზე, რომლებსაც სკოლის კედლებზე გამოფენენ, რაც შესაძლებელია გამოყენებული იქნას კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვით განათლებასთან დაკავშირებული პროგრამების რესურსის სახით.

ბავშვების საზოგადოებასთან ურთიერთობის დამყარება შეიძლება მარტივად ჟღერდეს, თუმცა სინამდვილეში საჭიროებს მნიშვნელოვან დაგეგმვასა და სკოლის სტანდარტულ სასწავლო პროგრამებზე მორგებას. საზოგადოების გამოცდილების სკოლაში გადატანა არ გულისხმობს მხოლოდ საზოგადოების წევრების სკოლაში მიწვევას, არამედ ასევე მოსწავლეების გასვლებისა და ვიზიტების ორგანიზებას, ინდივიდუალურ პირებთან გასაუბრებებს და, რაც მთავარია, საზოგადოების ფარგლებში ბავშვების მიერ წარმოებული კვლევითი პროექტების წახალისებას. სამწუხაროდ, სკოლებისა და მასწავლებლების უმეტესობა არ არის აღჭურვილი ასეთ სირთულეებთან გამკლავებისთვის საჭირო შესაძლებლობებით. ხშირ შემთხვევაში, მკაცრი სასწავლო პროგრამები არ იძლევა ამგვარი ღონისძიებების გახორციელების საშუალებას. ამიტომ, მნიშვნელოვანია, შესაძლებლობების გამონახვა, საზოგადოების გამოცდილებისა და ცოდნის სისტემების ტრადიციულ სწავლა-სწავლებასთან დასაკავშირებლად.

საველე დღიური: ინკლუზიისა და ადგილობრივად არსებული გარემოსდაცვითი რესურსების რუკა საქართველოში

საქართველოში საველე ვიზიტის დროს, წინამდებარე სახელმძღვანელოს ავტორი აკვირდებოდა ბავშვებს დაწყებით სკოლაში. მოსწავლეებმა უზრუნველყვეს ყველა ბავშვის ჩართვა მათი საზოგადოების რუკის შედგენითა და მისი სკოლის კედელზე განთავსებით.

რუკაზე აღნიშნულია უბანში არსებული ყველა სახლი და თითოეულ სახლში სასკოლო ასაკის ბავშვების რაოდენობა. სახლები, რომელშიც მცხოვრები სასკოლო ასაკის ბავშვები სკოლაში ან საერთოდ არ დადიან ან ბევრს აცდენენ, განსაკუთრებულად არის აღნიშნული, რაც სკოლასა და საზოგადოებას ზომების მიღებისკენ უბიძგებს. გარდა ამისა, რუკაზე განსაკუთრებულად არის აღნიშნული იმ ოჯახების საცხოვრებელი სახლები, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ, ან რომელთაც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები ჰყავთ. პროექტზე პასუხისმგებელი მოსწავლეთა კომიტეტი რეგულარულად აწარმოებს რუკის განახლებას. მოსწავლეთა კომიტეტმა განაცხადა, რომ ბავშვები გეგმავენ გამოიყენონ იგივე სტრატეგია ადგილობრივად არსებული სხვადასხვა გარემოსდაცვითი რესურსების იდენტიფიცირების მიზნით.

© UNICEF/2007/Selim Iltus

ბავშვების მიერ შედგენილი რუკა, რომელზეც სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა სახლებია დატანილი და რომელიც სკოლაშია გამოფენილი.

სკოლები, როგორც საზოგადოების რესურსი

მიუხედავად იმისა, რომ ყველა თანხმდება მასზედ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სკოლის ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობა, სკოლის საზოგადოებაში ჩართულობის მნიშვნელობა თითქმის ყოველთვის ყურადღების მიღმა რჩება. ფაქტობრივად, ბავშვზე ორიენტირებული ყველა სკოლა შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი რესურსი.

სკოლის რეალურ სოციალურ ღირებულებას ქმნის ის საქმიანობა და აქტივობები, რომლებსაც მოსწვალეები საზოგადოების ფარგლებში ახორციელებენ. ბევრ ადამიანს არ ესმის ბავშვების მიერ შეგროვილი და ორგანიზებული მონაცემების წარმოუდგენლად დიდი მნიშვნელობა. მათ მიერ წარმოებული კვლევა უფრო ღირებულია, როდესაც კვლევაში დიდი რაოდენობით სკოლები მონაწილეობენ. ამგვარი ინიციატივებისთვის საჭიროა კოორდინაცია რეგიონული და ეროვნული

მასშტაბით და განათლების სამინისტროების ინფორმირება და მათი მხრიდან გარკვეული ვალდებულებების აღება.

მარტივი მაგალითისთვის, სკოლის შენობები და სკოლის მოედნები წარმოადგენს რესურსს, რომელთა გამოყენებაც საზოგადოებას შეუძლია გარკვეულ დროს. ბუნებრივი კატასტროფების დროს და მათ შემდეგ, სკოლის შენობებს, განსაკუთრებით კარგად დაგეგმილ და დაპროექტებულ შენობებს, ხშირად, საზოგადოების წევრები თავშესაფრების სახით იყენებენ.

სკოლის შენობების უმეტესობა თავისუფალია სასკოლო საათების შემდეგ და შაბათ-კვირას. ამ პერიოდებში, სკოლების შენობებში შესაძლებელია ჩატარდეს სხვადასხვა აქტივობები, როგორიცაა არაფორმალური განათლება, ტრენინგები კლიმატის ცვლილებისა და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ, საზოგადოების წევრების შეხვედრები, დედების ჯგუფთა შეკრებები და სხვა. გარდა ამისა, საზოგადოებას შეუძლია გამოიყენოს სკოლის მოედნები ისეთი საქმიანობისთვის, როგორიცაა მებაღეობა, საკვების მომზადება და სხვა სასარგებლო საქმიანობა.

კვლევები გვიჩვენებს, რომ ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია მონაწილეობა საკუთარი საზოგადოების საქმიანობებში და ასევე მათთვის მნიშვნელოვანია, რომ მათ მოსაზრებებს ითვალისწინებდეს საზოგადოება.[xxxviii] ეს არ არის მხოლოდ კარგი იდეა; ეს არის უფლება, რომელიც დადგენილია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლით. კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციასთან დაკავშირებულ ადგილობრივ პროექტებში სხვადასხვა წარმომავლობის მქონე ბავშვების ჩართვით, ბავშვზე ორიენტირებული სკოლები ხელს უწყობენ ყველა ბავშვისა და ზოგადად საზოგადოების კეთილდღეობას.

ბავშვზე ორიენტირებული სკოლების დაკავშირება ბავშვზე მორგებულ ქალაქებსა და საზოგადოებებთან

ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივა (CFCI), მსოფლიო მასშტაბის მოძრაობა, რომელსაც სათავეში უდგას გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), მიზნად ისახავს ბავშვთა უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობას საზოგადოებების ფარგლებსა და ადგილობრივ დონეზე. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში წარმოებს, ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნითა და ეროვნული პოლიტიკის, სტრატეგიისა და პროგრამების შემუშავების მიმართულებით, ბევრ ქვეყანაში მიღწეული პროგრესის აღიარება, თუმცა ამავე დროს წარმოებს აღიარება იმისა, რომ საჭიროა მეტი ძალისხმევა ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების ადგილობრივ დღის წესრიგში დასაყენებლად. ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივა (CFCI) ერთდროულად აწარმოებს მოქალაქეების ჩართვას ადგილობრივ დონეზე ბავშვთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით არსებული სიტუაციის შეფასების საქმეში და ხელს უწყობს ადგილობრივ დონეზე მმართველობითი სტრუქტურების გაუმჯობესებას.

არსებობს თანხვედრა ბავშვზე მორგებული საზოგადოებებისა და ბავშვზე ორიენტირებული სკოლების კონცეფციებს შორის. თუ საზოგადოება აწარმოებს ბავშვზე ორიენტირებული სკოლების შეფასებას, ბავშვების დიდი რაოდენობა კრიტიკულად უდგება საკუთარ მონაწილეობას და განსაზღვრავს მათი სკოლებისა და საზოგადოებების პრიორიტეტებს. კლიმატის ცვლილებისა და გარემოსდაცვის თვალსაზრისით, ამგვარი შეფასების ინსტრუმენტები უნდა მოიცავდეს სკოლისა და საზოგადოების ფიზიკურ თვისებებს; სასწავლო გარემოს; კატასტროფისთვის მზადყოფნასა და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლა-სწავლებას. ამგვარი შეფასების პროცესს შეუძლია სკოლა აქციოს სტრატეგიულ ინსტიტუტად ან საზოგადოების დაკვირვების ობიექტად, ბავშვთა უფლებების მიმართულებით

არსებული სიტუაციის მუდმივი მონიტორინგისა და ამ უფლებათა მიმართულებით ადვოკატირების მიზნით.

7

მასშტაბის ზრდა და მეინსტრიმინგი

მასშტაბების ზრდა საჭიროებს ბავშვზე ორიენტირებული სკოლების მოდელის სისტემატურ და სწრაფ დანერგვას, მოცემულ პერიოდში, რაც არის გარანტია იმისა, რომ ყველა სკოლაში წარმოებს კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვით განათლებასთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამის დანერგვა. მეინსტრიმინგი არის გარანტია იმისა, რომ კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლება და გარემოსდაცვითი განათლება არის მდგრადი და წარმოადგენს განათლების სექტორში მიმდინარე პროცესებისა და განათლების სისტემების განუყოფელ ნაწილს, მათ შორის ისეთი პროცესებისა და სისტემების, როგორიცაა პოლიტიკა და კანონმდებლობა, გეგმები და ბიუჯეტი, სასწავლო პროგრამები და გამოცდები, მასწავლებელთა განათლება, სასკოლო ინფრასტრუქტურა და დამხმარე საშუალებები, სასწავლო გარემო, სკოლის მმართველობა და მართვა (ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ ზემოთ).

სწორედ ისე, როგორც კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების ჩართვა ბავშვზე ორიენტირებულ სკოლებში, კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების მასშტაბების ზრდასა და მეინსტრიმინგს, ბავშვზე ორიენტირებული სკოლების მოდელის საშუალებით, საფუძვლად უნდა ედოს კონკრეტული პრინციპები. ეროვნული ან ადგილობრივი სტანდარტები უნდა მოიცავდეს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ პრინციპებს, როგორიცაა ინკლუზიურობა, ბავშვზე ორიენტირება, დემოკრატიული მონაწილეობა და დაცული გარემო.

მასშტაბის ზრდისა და მეინსტრიმინგის პროცესში მნიშვნელოვანია განათლების სექტორისგან განსხვავებული სექტორების ჩართულობა. ბავშვზე ორიენტირებული სკოლების სექტორთშორისი ხასიათის სათავეს წარმოადგენს ბავშვზე ორიენტირება. ადრეული ბავშვობის ასაკიდან დაწყებული, დამთავრებული საშუალო სკოლის ასაკითა და საშუალო სკოლის დამთავრების შემდგომი პერიოდით, ჯანმრთელობის დაცვა, წყლით, სანიტარული პირობებითა და საკვებით უზრუნველყოფა, დაცვა და განათლება ბავშვზე უნდა იყოს ორიენტირებული.

სექტორთშორისი მიდგომა გვეხმარება ბავშვზე ორიენტირებული სკოლების პრინციპების მისადაგებაში კლიმატის ცვლილებისა და მდგრადი განვითარების გლობალური თუ ეროვნული ჩარჩოებისადმი. მრავალი ეროვნული პოლიტიკის ჩარჩო ეხება ბავშვებთან, სიღარიბის შემცირებასთან, ეკონომიკურ განვითარებასა და ქალაქის განახლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, თუმცა, ბევრ მათგანში არ არის წარმოდგენილი კლიმატის ცვლილებები და ბავშვზე ორიენტირებული სკოლების პოტენციური როლი.[xxxix]

© UNICEF/NYHQ2011-1672/Page

კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების მასშტაბის ზრდისა და მეინსტრიმინგის კონცეპტუალური ჩარჩო[xi]

კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების მასშტაბის ზრდა და მეინსტრიმინგი განათლების სექტორში					
წვლილი შეაქვს ბავშვზე ორიენტირებული სკოლების პრინციპების დამკვიდრებაში	ბავშვზე ორიენტირება, დემოკრატიული მონაწილეობა, ინკლუზია, დაცვა				
განათლების სექტორის კომპონენტები	განათლების დაგეგმვა, პოლიტიკა, კანონმდებლობა და ბიუჯეტი	მმართველობა და სკოლის ხელმძღვანელობა	სასწავლო გარემო	მასწავლებლები და განათლების პროცესში მონაწილე სხვა პერსონალი	სწავლა და სწავლება

მეინსტრიმინგი სწავლა-სწავლების პროცესში			
სწავლის შედეგები სასწავლო პროგრამებში და შეფასებები - დაწყებითი განათლების ბოლოს სწავლის პოტენციური შედეგების მაგალითები			
კომპეტენციები მოსწავლეს შეუძლია...	ცოდნა მოსწავლე ფლობს ცოდნას...	დამოკიდებულებები მოსწავლე ავლენს...	უნარები მოსწავლეს შეუძლია...
• ჰოლისტიკური მიდგომის გამოყენება, რომელიც აზროვნებისა და პრაქტიკის ინტეგრირებას ემსახურება • ცვლილების აღქმა, რაც ალტერნატიული	• სათანადო ინფორმაციისა და ინფორმაციის წყაროების გამოყენების მნიშვნელობის შესახებ • კლიმატის ცვლილების ძირითადი ცნებების შესახებ • გარემო სდაცვის მიმართულებით მოქმედების ძირითადი ცნებების შესახებ • ყოველდღიურ ცხოვრებაში ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობის შესახებ	• მზრუნველობას ადგილობრივ გარემოზე. • პატივისცემასა და თანაგრძნობას სხვადასხვა ვითარებაში მყოფ და განსხვავებული მოსაზრებების მქონე ადამიანების მიმართ.	• ღიად და პატივისცემით ისაუბროს ადგილობრივ გარემოში ჰარმონიულად ცხოვრებისა და რისკების შემცირების შესახებ. • გავრცელებული ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების

მომავლის განჭვრეტას, წარსულში მიღებული გამოცდილების გათვალისწინებასა და მიმდინარე პროცესებში ჩართვას განაპირობებს • ტრანსფორმაციის მიღწევა, რაც ადამიანების მიერ სწავლის ხერხებისა და გზების და სწავლის ხელშემწყობი სისტემების შეცვლას ემსახურება	• ძირითადი ეკოლოგიური ციკლების (ანუ წყლის ციკლის და სიცოცხლის ციკლის) შესახებ • რისკებს, საფრთხეებსა და მოწყვლადობას შორის კავშირის შესახებ • გარემოში ყოველდღიურად წარმოქმნილი რისკების იდენტიფიცირებისა და ამ რისკების თავიდან არიდების შესახებ. • ყოველდღიურ გარემოში კატასტროფისთვის მზადყოფნის ძირითადი ელემენტების შესახებ. • დღევანდელი ქმედებების ისტორიული ფაქტორებისა და საკუთარ თავზე, სხვებზე და ადგილობრივ გარემოზე ამ ქმედებების სამომავლო შედეგების შესახებ. • იმის შესახებ, რომ სოციალური ნორმები და კოლექტიური ქცევა შეიძლება იყოს როგორც რისკ-ფაქტორი, ასევე დამცავი ფაქტორი.	• პატივისცემას გარემოს შესახებ ადგილობრივი (მკვიდრი მოსახლეობის) ცოდნის მიმართ. • ცოდნას გარემოს დაცვასა და რისკების შემცირებასთან დაკავშირებით საკუთარი და სხვების უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ • პასუხისმგებლობას ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით • ცოდნას შიშის, მწუხარების და დანაკარგის ამოცნობისა და მათთან გამკლავების გზების შესახებ.	იდენტიფიცირება (ანუ მცენარეებისა და ცხოველების). • გადასინჯოს თავისი ყოველდღიური ქმედებები და პრაქტიკა და შეიტანოს მასში ცვლილებები, გარემოზე ზრუნვის მიზნით. • საჭიროების შემთხვევაში მოიძიოს და მიიღოს დახმარება.
სტანდარტები	სტანდარტების იდენტიფიცირება წარმოებს განათლებისა და რისკის ანალიზის შედეგად (იხ. მოდული 5) და მათი ჩართვა წარმოებს მონიტორინგისა და შეფასების გეგმაში	კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და კატასტროფათა რისკის შემცირების საქმეში განათლების სექტორის წვლილი, შემდეგი საშუალებებით: • **მეთოდები** – იზომება მასწავლებელთა მომზადების პროგრამებში მასწავლებელთა ჩართულობის მიხედვით	კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და კატასტროფათა რისკის შემცირების საქმეში განათლების სექტორის წვლილი, შემდეგი საშუალებებით: • **შინაარსი** – იზომება სკოლის სასწავლო პროგრამაში ჩართვის ხარისხის მიხედვით • **შედეგები** – იზომება

		• **იმპლემენტაცია** – იზომება გაკვეთილზე დაკვირვებისა და ბავშვისა და საზოგადოების მონაწილეობაზე დაკვირვების მიხედვით	შეფასებაში ჩართვისა და შედეგებში ასახვის მიხედვით

8

მონიტორინგი, შეფასება და პროგრამის წარმატების მაჩვენებლები

არსებული მექანიზმები უნდა უზრუნველყოფდეს კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების ეფექტურობისა და ეფექტიანობის მონიტორინგსა და შეფასებას და ამგვარი მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით უნდა წარმოებდეს არსებული პროგრამებისა და პროცესების კორექტირება.

მონიტორინგისა და შეფასების წარმოება საჭიროა ორ დონეზე:

ა. სკოლის ფარგლებში: ინდივიდუალური ცოდნის, დამოკიდებულებების, უნარებისა და ქცევის მიზნების გაზომვა და შეფასება;

ბ. ეროვნულ დონეზე: კონცენტრირება კლიმატის ცვლილებისა და გარემოსდაცვითი საკითხების ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირებისა და მეინსტრიმინგის პროცესზე.

აღნიშნული პროგრამებისა და პროცესების დამოუკიდებლად შეფასება ვერ გამოავლენს მათი წარმატების მაჩვენებელს. კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების პროგრამების შეფასება უნდა წარმოებდეს ბავშვზე მორგებული პრინციპების საფუძველზე, როგორიცაა ბავშვზე ორიენტირება, დაცული გარემო, ინკლუზიურობა და მონაწილეობა. შეფასების მნიშვნელოვან ფაქტორებს განეკუთვნება ქვეყნის კონტექსტზე მისადაგების დონე და სამართლიანობისა და თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება.

განსაკუთრებით სკოლის დონეზე წარმოებული მონიტორინგისას, კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების შეფასება ბავშვთა მონაწილეობის საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა. ძირითადი კრიტერიუმების გამოყენებით, ბავშვები გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდნენ შეფასების კრიტერიუმების დადგენაში, მონაცემების შეგროვებასა და ინტერპრეტაციაში. ბავშვის მონაწილეობა შეფასების პროცესში ასევე უზრუნველყოფს მდგრადობას. ბავშვთა გარემოსდაცვითი კლუბები შესაძლებელია ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ მონიტორინგსა და შეფასებას. 'ბავშვთა მთავრობების' შექმნა ახალგაზრდობის მონაწილეობის უზრუნველყოფის კიდევ ერთი კარგი საშუალებაა. გარემოსდაცვის სამინისტროებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ბავშვთა მთავრობებთან იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ გარემოსდაცვის სფეროში.

კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების პროგრამების შეფასების კიდევ ერთ საშუალებას წარმოადგენს თვით-შეფასების მეთოდის გამოყენება. შესაძლებელია ბავშვზე მორგებული ქალაქების ინიციატივით (CFCI) გათვალისწინებული თვით-შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებაც, მარტივი მეთოდების ჩათვლით, როგორიცაა საკონტროლო კითხვარები და შეფასების სკალები, ადაპტირება, მათი ბავშვზე ორიენტირებული სკოლების კონტექსტზე მორგების საშუალებით. თვით-შეფასება მოიცავს კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების პროგრამების სხვადასხვა კრიტერიუმის

შესახებ მსჯელობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაგალითად, ბავშვების გარემოსდაცვით უფლებებთან დაკავშირებული სკოლის მახასიათებლების განსაზღვრის პროცესში ბავშვების, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა მშობლების ჯგუფების ჩართვას. დაინტერესებული მხარეები აანალიზებენ შედეგებს, ადგენენ ხარვეზებს, ქმნიან სამოქმედო გეგმებს და აკონტროლებენ პროგრესს.

ბავშვზე ორიენტირებულ სკოლებში კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების შეფასების ძირითადი კრიტერიუმების ჩამონათვალი იხილეთ ქვევით მოცემულ ცხრილში.

ეროვნულ დონეზე მასშტაბის ზრდისა და მეინსტრიმინგის მონიტორინგი და შეფასება შეიძლება მოიცავდეს შემდეგს: 1) კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვით განათლებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების ინტეგრირება და ჩართვა სკოლებსა და მასწავლებელთა გამოცდებში და 2) შენობებისა და სკოლასთან დაკავშირებული სხვა ობიექტების უსაფრთხოების და მდგრადობის შეფასება, სკოლის შემოწმების დროს. მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული მონაწილეობისა და თვითშეფასების მეთოდები.

მეინსტრიმინგისა და მასშტაბის ზრდის მიმართულებით პროგრესის შეფასების კრიტერიუმები ყველა დაინტერესებულ მხარესთან უნდა იყოს შეთანხმებული. აღნიშნული კრიტერიუმები და მაჩვენებლები უნდა ასახავდეს კონკრეტული ქვეყნის კონტექსტს, თუმცა, ამავე დროს, უნდა შეესაბამებოდეს კონცეპტუალური ჩარჩოს პრინციპებსა და სტანდარტებს (ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ ზემოთ).

ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ბავშვზე ორიენტირებული სკოლების სახელმძღვანელოში, კონკრეტულად, მე-8 თავში, რომელიც ეძღვნება ბავშვზე ორიენტირებულ სკოლებში მონიტორინგისა და შეფასების პროცესებს და, ასევე, მე-9 თავში, რომელიც ეძღვნება ბავშვზე ორიენტირების კონცეფციების მეინსტრიმინგს.

რესურსების ნაკრების - ‘განათლების სექტორში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და კატასტროფების რისკის შემცირების მასშტაბის ზრდა და მეინსტრიმინგი: ბავშვთა უფლებებისა და სამართლიანობის ხელშეწყობა’ - მე-4 მოდულში დაწვრილებით არის მოცემული განათლებისა და რისკების ანალიზი.

ბავშვზე ორიენტირებულ სკოლებში კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების შეფასების კრიტერიუმების ნიმუში

კრიტერიუმი	დიახ/არა/დანატებითი ინფორმაცია
ერთმანეთისგან იზოლირებული, ვაჟებისთვის, გოგონებისა და უფროსებისთვის განკუთვნილი ტუალეტები	
ყველა ბავშვი, მათ შორის ვაჟები, გოგონები და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლები, თავს უსაფრთხოდ გრძნობენ სკოლაში	
ყველა ბავშვი მონაწილეობს და შეუძლია მონაწილეობა მიიღოს გარემოსდაცვით პროექტებში	
ბავშვები მონაწილეობენ პრაქტიკულ აქტივობებში, რომლებიც ემსახურება კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვით განათლებას	

კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლება და გარემოსდაცვითი განათლება სრულად არის ჩართული სასწავლო პროგრამებში	
წარმოებს კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვით განათლებასთან დაკავშირებული მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასება და შეფასების შედეგები აკმაყოფილებს შესაბამის სტანდარტებს	
მასწავლებლები ფლობენ კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვითი განათლებასთან დაკავშირებულ ცოდნას და აწარმოებენ ამ ცოდნის გადაცემას მოსწავლეებისათვის, საკლასო გარემოში	
მასწავლებლები იყენებენ აქტიური სწავლის მეთოდებს, მოსწავლეთათვის კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებისა და გარემოსდაცვითი განათლების ფარგლებში	
კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვით განათლებასთან დაკავშირებული სწავლა-სწავლება უმთავრესად ეფუძნება ადგილობრივ კონტექსტს და მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზეა მორგებული	
კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვით განათლებასთან დაკავშირებული სწავლა-სწავლებისათვის განკუთვნილი მასალები ხელმისაწვდომია და აქტიურად გამოიყენება	
მოსწავლეთა ოჯახის წევრები ფლობენ ინფორმაციას კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვით განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებსაც მათ თავად მოსწავლეები აცნობენ	
საზოგადოების წევრები ჩართული არიან სკოლებში მიმდინარე კლიმატის ცვლილების შესახებ სწავლებასა და გარემოსდაცვით განათლებაში ან მოსწავლეებთან ერთად მუშაობენ ადგილობრივი გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებაზე	
სკოლის შემოგარენში არსებული გარემო სუფთა და გამწვანებულია	
სკოლას გააჩნია საგანგებო სიტუაციებისთვის მზადყოფნის გეგმა	
სკოლის შენობა გათვლილია იმაზე რომ გაუძლოს ადგილობრივ საფრთხეებს	
ბავშვები უზრუნველყოფილი არიან სუფთა წყლითა და ჯანმრთელი საკვებით	
ბავშვები არიან ჯანმრთელი	

[i] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ 'ბავშვზე ორიენტირებული სკოლების სახელმძღვანელო". გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ნიუ-იორკი, 2009 წ.; და ანდერსონი, ა., "ბრძოლა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგხარისხიანი განათლების საშუალებით, ბრუკინგსი, ვაშინგტონი, 2010 წ.

[ii] გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ‘განათლების სექტორში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და კატასტროფების რისკის შემცირების მასშტაბის ზრდა და მეინსტრიმინგი: ბავშვთა უფლებებისა და სამართლიანობის ხელშეწყობა’, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ნიუ-იორკი, მზად არის გამოსაცემად.
[iii] გაეროს ბავშვთა ფონდი, მოქმედება ბავშვებისთვის - საკითხი 5: ხარისხიანი განათლება და ბავშვზე ორიენტირებული სკოლა, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ნიუ-იორკი, 2009 წ., <www. unicef.org/devpro/files/Actions_for_Children_No._5_ EN_LoRes.pdf>, ხელმისაწვდომია 2012 წლის 11 მარტის მდგომარეობით.
[iv] კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი საბჭო, ‘კლიმატის ცვლილება: ფიზიკური მეცნიერების საფუძველი’, მეოთხე შეფასების ანგარიში, კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი საბჭო, ჟენევა, 2007 წ., <www.ipcc.ch/publications_and_data/publications_ ipcc_fourth_assessment_report_wg1_report_ the_physical_science_basis.htm>, ხელმისაწვდომია 2012 წლის 11 მარტის მდგომარეობით.
[v] გლობალური ცვლილებების შესახებ გერმანიის მრჩეველთა საბჭო (WBGU), მსოფლიო გარდამავალ პერიოდში, გლობალური ცვლილებების შესახებ გერმანიის მრჩეველთა საბჭო (WBGU), ბერლინი, 2011 წ., გვ. 7, <www.wbgu.de/fileadmin/templates/dateien/veroeffentlichungen/hauptgutachten/jg2011/wbgu_jg2011_kurz_en.pdf>, ხელმისაწვდომია 2012 წლის 11 მარტის მდგომარეობით.
[vi] ფონდი ‘Save the Children’, კატასტროფის მემკვიდრეობა, ფონდი ‘Save the Children’, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი, 2007 წ.
[vii] ბარტლეტი, შერიდანი, ‘კლიმატის ცვლილება და ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვები: ადაპტაციის გავლენა და შედეგები დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში’, გარემოსა და განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი, ლონდონი, 2008 წ.
[viii] ფონდი ‘Save the Children’, კატასტროფის მემკვიდრეობა, ფონდი ‘Save the Children’, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი, 2007 წ.
[ix] ბავშვებზე კლიმატის ცვლილების გავლენის შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ: ბარტლეტი, შერიდანი, ‘კლიმატის ცვლილება და ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვები; გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), კლიმატის ცვლილება და ბავშვები: უსაფრთხოების გამოწვევა, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) ინოსენტის კვლევითი ცენტრი, ფლორენცია, 2008 წ., <www.unicef-irc.org/publications/pdf/climate_change.pdf>, ხელმისაწვდომია 2012 წლის 11 მარტის მდგომარეობით; და გაეროს ბავშვთა ფონდი, ჩვენი კლიმატი, ჩვენი ბავშვები, ჩვენი პასუხისმგებლობა: კლიმატის ცვლილების ზემოქმედება ბავშვებზე მსოფლიო მასშტაბით, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), დიდი ბრიტანეთი, 2007 წ., <www.crin.org/docs/ climate-change.pdf>, ხელმისაწვდომია 2012 წლის 11 მარტის მდგომარეობით.
[x] გაერო, ბავშვის უფლებების კონვენცია, მუხლები 24, 27, 28, 29 და 32, გაერო, 1990 წ., <www.hrea.org/index.php?base_id=104&language_ id=1&erc_doc_id=473&category_id=&category_ type=&group=>, ხელმისაწვდომია 2012 წლის 11 მარტის მდგომარეობით.
[xi] ცვალებადი კლიმატის პირობებში ბავშვების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე: <www.childreninachangingclimate.org>.
[xii] განვითარების კვლევითი ინსტიტუტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე: <www.ids.ac.uk>.
[xiii] დეტალური ინფორმაცია მოცემულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ინსტრუმენტში, ბავშვზე ორიენტირებული სკოლების სახელმძღვანელო, გვ. 8–12.
[xiv] შემუშავებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ, 2011 წ.
[xv] გაეროს ბავშვთა ფონდი, ‘განათლების სექტორში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და კატასტროფების რისკის შემცირების მასშტაბის ზრდა და მეინსტრიმინგი: ბავშვთა უფლებებისა და სამართლიანობის ხელშეწყობა’, მოდული 10.
[xvi] გაეროს ბავშვთა ფონდი, ბავშვზე ორიენტირებული სკოლების სახელმძღვანელო.
[xvii] გაეროს განვითარების პროგრამა, ახალგაზრდები და ძალადობრივი კონფლიქტი: საზოგადოება და განვითარება კრიზისში, გაეროს განვითარების პროგრამის კრიზისების პრევენციისა და მართვის სამმართველო, ნიუ-იორკი, 2006 წ., გვ. 85, <www.undp.org/cpr/whats_new/UNDP_Youth_PN.pdf>, ხელმისაწვდომია 2012 წლის 11 მარტის მდგომარეობით.
[xviii] დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე: <www. greenschool.org>.

[xix] ბარტლეტი, შერიდანი, ‘კლიმატის ცვლილება და ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვები: ადაპტაციის გავლენა და შედეგები დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში’.
[xx] ჰარტი, როჯერი, ბავშვთა მონაწილეობა მდგრად განვითარებაში: საზოგადოების განვითარებასა და გარემოზე ზრუნვაში ახალგაზრდა მოქალაქეების ჩართვის თეორია და პრაქტიკა, Earthscan, ლონდონი, 1996 წ..
[xxi] შემუშავებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ, 2011 წ..
[xxii] ცნებების თეორიული საფუძვლების დეტალური კვლევა იხილეთ ჰოვარდ გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიაში, რომელიც მოცემულია მისივე ნაშრომში: „გონების ჩარჩოები: მრავალმხრივი ინტელექტის თეორია”, ნიუ-იორკი, 1983 წ.; ჰოვარდ გარდნერის მსჯელობა ნატურალისტურ ინტელექტზე, რომელიც მოცემულია მისივე ნაშრომში: „Intelligence Reframed“, Basic Books, ნიუ-იორკი, 1999 წ.; და დენიელ გოლმენის ემოციური ინტელექტი: რატომ შეიძლება მას მეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ვიდრე ინტელექტის კოეფიციენტს, ბანტამი, ნიუ-იორკი, 1995 წ.
[xxiii] გუდმანი, დონა, განათლება წყლის, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების შესახებ: ბავშვებისა და მოზარდების ლიდერობა ტაჯიკეთში, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) ტაჯიკეთში, ნიუ-იორკი და დუშანბე, 2005 წ.
[xxiv] ახალგაზრდა აღმასრულებელ დირექტორთა ალიანსი და გაეროს ბავშვთა ფონდი, კლიმატის ცვლილება: იმოქმედეთ ახლა!, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ჟენევა, 2010 წლის 23 ნოემბერი.
[xxv] მიტჩელი, ტომი, ტომას ტანერი და კატარინ ჰეინესი, ბავშვები, როგორც ცვლილებების აგენტები, კატასტროფის რისკის შემცირების საქმეში: ელ-სალვადორისა და ფილიპინების გამოცდილება, განვითარების კვლევითი ინსტიტუტი და ‘PLAN International’, ბრაიტონი, დიდი ბრიტანეთი, 2009 წლის აპრილი.
[xxvi] Ibid.
[xxvii] ემილ პოლაკი, ბავშვის უფლებები და კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაცია: კენიისა და კამბოჯის გამოცდილება, განვითარების კვლევითი ინსტიტუტი და ‘PLAN International’, ბრაიტონი, დიდი ბრიტანეთი, 2010 წ.
[xxviii] დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე: <http://globe.gov>.
[xxix] კატასტროფათა შემცირების საერთაშორისო სტრატეგია, საგანგებო სიტუაციებში განათლების უწყებათაშორისი ქსელი და მსოფლიო ბანკი, უსაფრთხო სკოლის შენებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები: კატასტროფის შემცირებისა და აღდგენის გლობალური ინსტრუმენტი, კატასტროფათა შემცირების საერთაშორისო სტრატეგია (ISDR), ჟენევა, 2009 წ.
[xxx] მათ აქვთ უფლება, რადგან 168 სახელმწიფონ დაადასტურა საკუთარი პასუხისმგებლობა საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიმართულებით, კატასტროფათა შემცირებისადმი მიძღვნილ მსოფლიო კონფერენციაზე, კობეში, იაპონია, 2005 წლის იანვარი.
[xxxi] გაეროს ბავშვთა ფონდი, ‘ბავშვები და კატასტროფების რისკის შემცირება აზიასა და წყნარი ოკეანის რეგიონში: წინ გასავლელი გზა – სადისკუსიო ნაშრომი’, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ნიუ-იორკი, 2010 წ.,
გვ. 6, <www.unicef.org/eapro/AsiaPacific_DRR_final. pdf>, ხელმისაწვდომია 2012 წლის 11 მარტის მდგომარეობით.
[xxxii] ფონდი ‘Save the Children’, ‘კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებული და ბავშვთა ხელმძღვანელობით განხორციელებული პროექტი - ტაილანდის გამოცდილება’, ფონდი ‘Save the Children’, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი, 2007 წ., <http://sca. savethechildren.se/Global/scs/SEAP/publication/ publication%20pdf/Disaster/DRR%20LL%20 lessons%20learned%20report.pdf>, ხელმისაწვდომია 2012 წლის 11 მარტის მდგომარეობით.
[xxxiii] მარლა პეტალი, კატასტროფის პრევენცია სკოლებში: რეკომენდაციები განათლების სექტორის ხელმძღვანელებისათვის, გაეროს კატასტროფათა შემცირების სამდივნოს საერთაშორისო სტრატეგია, ჟენევა, 2008 წლის ნოემბერი.
[xxxiv] სელიმ ილტუსი, ‘საზოგადოების მონაწილეობა, სკოლების ფიზიკური გარემოს გააზრებისა და გაუმჯობესების საქმეში’, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), 2007 წ.
[xxxv] როჯერ ჰარტი, ‘უფლებების დაცვა ბავშვზე ორიენტირებული სკოლების საშუალებით’, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) ‘Back on Track Podcast Series’, გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ნიუ-იორკი,

2009 წ., <www.educationandtransition.org/resources/protecting- rights-through-child-friendly-schools>, ხელმისაწვდომია 2012 წლის 11 მარტის მდგომარეობით.

[xxxvi] გაეროს სურსათისა და სოფლისმეურნეობის ორგანიზაცია, სკოლის შემოგარენში ბაღის გაშენება და მასზე ზრუნვა: გზამკვლევი მასწავლებლებისათვის, მოსწავლეებისა და საზოგადოების წევრებისათვის, გაეროს სურსათისა და სოფლისმეურნეობის ორგანიზაცია, რომი, 2005 წ..

[xxxvii] გაეროს ბავშვთა ფონდი, 'ბავშვი და სწავლისათვის შესაფერისი გარემო დაწყებით სკოლებში: სკოლის კასეტური მიდგომა, ეთიოპია', გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) – ეთიოპია, 2002 წ., <www.unicef.org/evaluation/files/ ethiopia2002schoolclusterapproach.doc>, ხელმისაწვდომია 2012 წლის 11 მარტის მდგომარეობით.

[xxxviii] ჰარტი, როჯერი, ბავშვთა მონაწილეობა: საზოგადოების განვითარებასა და გარემოზე ზრუნვაში ახალგაზრდა მოქალაქეების ჩართვის თეორია და პრაქტიკა, Earthscan Ltd., დიდი ბრიტანეთი, 1997 წ..

[xxxix] გაეროს ბავშვთა ფონდი, ''განათლების სექტორში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და კატასტროფების რისკის შემცირების მასშტაბის ზრდა და მეინსტრიმინგი: ბავშვთა უფლებებისა და სამართლიანობის ხელშეწყობა'.

[xl] Ibid.